საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 24 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე დუ ჯუტიტის სტრიქონი 4 მანეთი, მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 293 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 293



# 26 მაისი

ომში დაღუპულ ომ ცერთა ოჯახების დამხმარე საზოგადოება

(3365—1—1)

თფილისის საერთო განათლების კურსების მსმენელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, კურსების მსმენელ საუკეთესო ამხანაგის

**ივანე სამთაშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. (3356 1—1)

მამა ერანიკო და დედა კესარია მამალაძენი, შვილები: აპოლონ, თამარა, მანასი და ეუმელი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობს, რომ შაბათს, იანვრის 10 (ახ. სტ.) დილის 10 ს. ს- ხევში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა

**ავთანდილ მამალაძის**

სულის მოსახსენებლათ. (3357 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ლუბა რატიანის ასული, დედა იულია კაციტაძის ასული; ძმები მიხა და ილიკო სირაძენი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ქრისტეშობისთ. 26 ქ. ხაშურში, წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარ

**ალექსანდრე თადეოზის ძე სირაძის**

სომხებთან ომში დაღუპვიდან წლის წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3361 2—1)

დედობისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოება ამით იწვევს

**ბავშთა სახლის ხელმძღვანელს**

და ხაბაყმეუ ბაღის გამგეს გამოცდილ პირთ. ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში, პეტრე დიდის ქუჩა, № 8, 10 საათიდან 3 საათ. (Ე. 1—1)

**საექიმო პერსონალი, მასწავლებლები და იურისკონსულტი**

(იგივე ადმინისტრატიული განყოფილების გამგე)

საჭირონი არიან ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობისათვის; ექიმები და იურისკონსულტი თვეში მიიღებენ—4.000 მან. ჯამაგირს. ფერშლები და ფერშალ-აკუშერკები—3.600 მან., ბეითლები 3,600 მანეთს, ბეითალი ფერშლები—2,400 მან. და მასწავლებლები—2,600 მ. უკანასკნელთ მიეცემათ ბინა გათბობით და განათებით. მასწავლებლები საჭირონი არიან თათრულ, ქართულ და ბერძნულ სკოლებისათვის. სასურველია საექიმო პერსონალმა იცოდეს თათრული ენა. მსურველთ შეუძლიათ განცხადების გაგზავნა ამ მისამართით: კოლ. ეკატერინოვკა, საერობო გამგეობას. (3348—3—2)

**მე-რე ქართული კლუბი**

(მიხეილის პროსპექტი № 129)

ოთხშაბათობით და პარასკევობით

**„სინემატოგრაფი“**

ხუთშაბათობით

**„საოჯახო და საცეკვაო საღამოები“**

სიმებიანი ორკესტრი დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სტუმრები კლუბში შედიან საზოგადო წესით. (Ნ. 3—2)

საქართველოს სახაზინო რკინისგზების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ

**კულტურა განათლების**

კომისიას განზრახული აქვს შეიძინოს პროფესიონალური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის ქართული წიგნები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე ხსენებულ კომისიის თავმჯდომარესთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 200. (Ნ. 6—5)

კვირას, 28 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ჩიკოვანის ცირკის დარბაზში (ვერის დაღმართი) გამგეობა

განმეორებით იწვევს

**თფილისის მილიციის კოოპერატივის**

წევრთა საერთო მორიგ კრებას, რომელიც, წესდების 33 მუხლის ძალით, კანონიერი იქნება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად, დღიური წეს-რიგი: 1) გამგეობის მოხსენება; გასული წლის ანგარიში და მომავალი წლის სამოქმედო გეგმის განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის ორი წევრის არჩევა; 4) სარევიზიო კომისიის არჩევა; 5) მიმდინარე საკითხები. კრების [illegible]

(3363—2—1) გამგეობა.

**მოითხოვეთ ყველგან**

უმაღლესი ხარისხის

**კონიაკი და არაყი**

ი. მ. ლაზარევის

თფილისი კიროჩნაია ქ. № 19. (3366—4—1)


## ეკონომია მართველობაში.

როდესაც ჩვილ ბავშს ჯერ კიდევ არ განვითარებია სამოძრაო, ეგრეთ წოდებული სამოტორო, ცენტრი, არ აქვს შემუშავებული მოძრაობის კოორდინაცია, ის აუარებელ ძალასა და ენერგიას ხარჯავს უმიზნოთ და უნაყოფოთ სიარულისა და საერთოთ მოძრაობის დროს. რამდენიმეთ ასეთ მოვლენას მოაგონებს ადამიანს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა, რომლის მოღვაწენი, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში ეხლა იდგამენ სახელმწიფოებრივ ფეხს და რასაკვირველია მათ მოძრაობასა და მოქმედებას ეტყობა, რომ ჯერჯერობით ძლიერ აკლია კოორდინაცია. ეს შეიძლება საშიში არ იყოს, ვინაიდან მოზარდი ორგანიზმის ცენტრის განვითარებას ხელს უწყობს თვით ორგანოთა არა კოორდინალური მოძრაობა. მართალია, ეს აუცილებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლი არ აღინიშნოს და მის შემცირებას არ შევეცადოთ.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა მივუთითოთ ერთ გარემოებას. ვითეული ზერელე მეთვალყურეც კი შენიშნავს, რომ თფილისი გვიპეტერბურგდა. რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან, ყოველ ქალაქიდან და დაბა დაბიდან ყოველ დღე შეხვდებით რესპუბლიკის დაწესებულებებში არა ერთსა და ორს მოღვაწეს, რომელიც ჩამოსულა ამა თუ იმ შუამდგომლობის პირადათ მხარის დასაჭერათ. ძველებური რუსულ ბიუროკრატიული ტერმინი „лично похлопотать“ თანდათან იჭერს ჩვენს ცხოვრებაში „სათანადო“ ადგილს. თამამათ შეიძლება ყოველ დღე, რა დროსაც გნებავთ, თფილისში გამართავთ კონფერენციას ერობათა მოღვაწეების, ქალაქის თავების, კოოპერატორებისა და სხვათა. ვინაიდან იშვიათია ისეთი დღე, რომ ჩვენ სატახტოში არ იყოს „კომანდიროვკაში“ ყველა მაზრიდანა და ქალაქიდან თითო წარმომადგენელი მაინც ყველა ამ დარგიდან. ხშირად რომელიმე გამგეობის ორ სამ წევრსაც კი შეხვდებით ხოლმე. რაშია საქმე? ერთი სასურსათო განყოფილების გამგე, ჩამოსულა აგერ ორი კვირაა და ვერ მოუხერხებია ორმოცდა ათი... ლამპის მიღება, ვინაიდან მთავარ ს წყობებში საქონლის ხელახალი აღწერა და ანგარიში სწარმოებს და უცდის ამ „სასურსათო“ საქმის გადაჭრას. იმავე გამგეობის მე-2 წევრმაც ჩამოუწერო, ის თურმე განათლების ნაწილს განაგებს და რეცულების დაბეჭდვათ ჩამოვიდა; და თუ ცოტა დააგვიანდა, შეიძლება თფილისში სათანადო გამგეობის სხდომის მოწყობაც მოხერხდეს, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ გამგეობის მესამე წევრმაც ჩამოუწეროს და ქვორუმიც გაჩარხული იქნება.

ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც რომელიმე პატარა ქალაქიდან, ერთ და იმავე საქმეზე ჩამოსულა ერობის, ქალაქის და კოოპერატივის მოღვაწე ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებლათ. მასალები აქვთ სამივე ამ ორგანიზაციას რამდენიმე ათეული ან ასეული ფუთი ამა თუ იმ საგნისა და ისიც ერთსა და იმავე წყაროდან. სამი კაცი, სამი ხარჯი, სამი დრო და შედეგი— ერთსა და იმავე წყაროდან ერთი ვაგონი საქონელი, ხოლო სამ ვაგონათ ან ბაგაჟათ განაწილებული მიდის ერთსა და იმავე დაბაში. ასეთი შეუთანხმებელი, უკოორდინაციო მოქმედება, რასაკვირველია, შეუწყნარებელია და მისი გასწორებაც არაა ძნელი.

ჩვენ გვყავდა ისეთი ქალაქის თავები და მოღვაწენი, რომელნიც უმეტეს დროს პეტერბურგში ატარებდნენ, ის მოღვაწენი მაშინ საუკეთესოთ ითვლებოდნენ, რადგან ისინი იქ ზედმიწევნით სწავლობდნენ სამინისტროების სადეპარტამენტოებს და საქმეებს აჩქარებდნენ; ეს სავსებით შეეფერებოდა იმ დროის ბიუროკრატიულ წყობილებას. თუ იმ დროში მოღვაწის პეტერბურგში ნაცხოვრები დრო პირდაპირ პროპორციონალი იყო მის დადებით ღირსებასთან, ჩვენს დროში კი პირიქით უნდა ჩაითვალოს. რამდენ მეტს დროს გაატარებს ჩვენი საერობო და საქალაქო მოღვაწე თფილისში, იმდენათ ეს ნაკლათ უნდა ჩაეთვალოს მას.

ჩვენ საერთოთ გრძნობის ხალხი ვართ. ძლიერ გვიყვარს ერთი მეორე. ერთი მეორის ნახვა-მოკითხვა ეს ჩინებული ჩვეულებაა და თუ გნებავთ ასეთი თბილი, მეგობრული სიყვარული და კარგი განწყობილება დიდი დადებითი მოვლენაა და ჩვენი სიძლიერისა და მთლიანობის ერთი მნიშვნელოვან ფაქტორთაგანია. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჟორდანიამ სთქვა, რომ ჩვენ ცუდი მოხელენი ვართო. მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენ სრულიადაც არ უწყობთ ხელს კარგ მოხელეთა შექმნას. განა მოქალაქეს მიაჩნია დანაშაულათ, როდესაც ის თავის კარგ ნაცნობ მეგობარ მოხელეს რამდენიმე წუთსა და ხანსაათსაც კი წაართმევს ხოლმე სამუშაო დროიდან, იმ დროიდან რომელიც რესპუბლიკას ქვეყანას ეკუთვნის. როდესაც პროვინციიდან ჩამოსული მოღვაწე ერთ რომელიმე დაწესებულებაში საქმეს მოილევს და შემდეგ ნაცნობებსა და მეგობრების ნახვის საქმეს შეუდგება სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობის დროს, ამით ამტკიცებს, რომ ის ჩინებული მეგობარია—ამხანაგებს არ ივიწყებს, მაგრამ როგორც მოქალაქე ცუდათ იქცევა, სახელმწიფოს უპატივ ზარალს აყენებს.

პეტერბურგზე უარესი თფილისი იმითაა, რომ ის შორს იყო და ასე ადვილათ ვერ წახვიდოდით, ხოლო თფილისი კი აგერაა, კარის ყურეში, თითქმის ნახევარ საქართველოსთან უკვე ტელეფონითაც კია შეერთებული, მაგრამ ამისა და მეტი დღის „კომანდიროვკები“ ძლიერ ხშირი და იოლი მოვლენაა. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა თითქოს აქ ვინმე დამნაშავე იყვეს; განა ეს მოვლენა მარტო ადგილობრივ მოღვაწეთა გაუწვრთნელობის ბრალია? განა აქ, ცენტრში, ამა თუ იმ დაწესებულებაში სიარულისა და საქმეთა კეთების დროს ხშირათ არ მოგაგონდებათ ხოლმე რუს სატირიკის შჩედრინის „Департаментъ препонъ“-ი? არა ეს მოვლენა საერთო მიზეზების შედეგია, ის აუცილებელიცაა, ასე ეთქვათ „ზრდის ავათმყოფობაა“, მაგრამ ამით თავს ვერ დავიმშვიდებთ და სენს საერთო ძალებით უნდა შევებრძოლოთ. განსაკუთრებით მეტის გაკეთებას ავალებს ეს გარემოება ერობათა, ქალაქთა და კოოპერატივთა კავშირებს და რასაკვირველია მთავრობასაც. მუშაობის, მოქმედებისა და მოძრაობის მეტი კოორდინაცია და ენერგიის ეკონომია. აქეთკენ უნდა მიიმართოს ყველა საზოგადოებრივ ძალთა და ორგანიზაციათა ყურადღება.

## ვინ არის უკმაყოფილო?

გაზეთ „ივერიამ“ გაილაშქრა სენაკის მაზრის ერობის ყრილობის წინააღმდეგ. თურმე მის დადგენილებას ზოგიერთი სახლების ჩამორთმევის შესახებ ხალხი მეტად აუღელვებია. რაშია საქმე? ერობის გამგეობამ დიდი ხანია გადასწყვიტა ააშენოს სენაკში სახალხო სახლი. მოუხედავად ფინანსიური კრიზისისა, მან მონახა შესაფერი თანხა და საქმის პრაქტიკულად განხორციელებას შეუდგა. რასაკვირველია, სახლი ჰაერში ვერ აშენდებოდა, ხოლო მიწის შეძენა შეუძლებელი შეიქნა. გამგეობა დარწმუნებული, რომ საშვილიშვილო საქმის აკეთებდა და ადგილობრივ კულტურულ აყვავებას ხელს უწყობდა ისარგებლა დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემულ კანონით და გადასწყვიტა ბინის ჩამორთმევა სამართლიან ფასებში. ამ ნაირად კითხვა აშკარად არის დასმული, ან ორი მოქალაქის ინტერესი, ან მთელი კუთხის კულტურულად აყვავებისათვის შესაფერი პირობების შექმნა. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მეორე დებულებას.

ყველა ყვირის, რომ ჩვენი სკოლები შესაფერისად არ არის მოწყობილი, რადგანაც თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები არ გვყავს. ერობამ გახსნა სემინარია. ამას შენობა სჭირდება. პატრიოსანი და სამშობლოს მოყვარული (!) მოქალაქე თვითონ გაუწვდიდა ხელს ამ შემთხვევაში ერობას. რადგანაც დღეს სამშობლოს სიყვარულს სპეკულიაციაზედ დაბლა აყენებენ ერობამ გადასწყვიტა მთელი მაზრის სწავლა-განათლების მოწყობის საქმე უფრო მაღლა დაეყენებია, ვიდრე კერძო კაცის ინტერესები და ამით აასრულა მთელი დემოკრატიის სურვილი. თავის დადგენილებაში ერობა ხელმძღვანელობდა საზოგადო ინტერესებით და თავის ნაბიჯის აუცილებლობით და მიზან შეწონილობით. ამავე დროს, მან მშვენიერად იცოდა, რომ გამოჩნდება ჯგუფი, რომელიც მის წინააღმდეგ გაილაშქრებს. ჯერ ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, რომ ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიურ ზომას ყველას გული გაეხარებინოს. ასეთი ზღაპრებით არ არის გამსჭვალული სენაკის ერობის ხმოსნები.

იმდენათ ერთსულოვანი იყო სენაკის ყრილობის დადგენილება, რომ ის იქნა მიღებული ერთხმათ. ნაციონალ დემოკრატების სიით გასული ერთი ხმოსანი დაესწრო კრებას და იმანაც თავის სახელით საზოგადოებრივი ინტერესი მაღლა დააყენა კერძო პირების ინტერესზედ და დადგენილებას ხმა მისცა. სენაკის მაზრა და მისი მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი კმაყოფილია დადგენილებით. ვინ არის უკმაყოფილო?

ბ. თეკლათელი.

## საბჭოთა რუსეთი და საქართველო *)

იმ ოფიციალურს პასუხსა და საგაზეთო წერილებში, რომელიც კარახანის უკანასკნელმა ნოტამ გამოიწვია, თუ არ ვსცდებით, არავის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ერთი მომენტისთვის. რასაკვირველია, სამართლიანად აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული რეპრესიები და თვით ნოტის შინაარსი ეწინააღმდეგება დემოკრატიის შეგნებას და ტრადიციულ საერთაშორისო უფლებას. მაგრამ არ გვგონია, რომ ან ლენინი ან კარახანი იდნენ მაინც შეაშფოთოს და დაალინოს ამ ფაქტის აღნიშვნამ. უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობის ყოფა ქცევა ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება მისივე სოფლმხედველობისა და პრაქტიკულ პოლიტიკის ლოგიკას.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკები ამტკიცებენ, რომ ყოველ ჩაგრულ ერს აქვს უფლება გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებისა. ამ წუთში საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები სხვათა მოლაპარაკებას აწარმოებენ ესტონეთთან და ზოგიერთს საკითხზე ძლიან სათუთადაც ექცევიან მას. ერთი უმთავრესი მოთხოვნილება, რომელიც ორივე მხარემ მიიღო, არის ურთიერთ შინაურ საქმეებში ჩაურევლობა. მაგრამ ამ გარე ნოტას მოსკოვის მთავრობა მარტო პატარა ესტონეთიდან როდი ითხოვს: იგივე მოთხოვნილება წარუდგინეს წინეთ ბულიტს, ახლა ოგრედის. საერთოდ რუსეთის შინაგან საქმეებში ჩაურევლობა ბოლშევიკების შთაგონებით მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლველ ლოზუნგად იქცა: ამ ლოზუნგის გარშემო დასავლეთ ევროპაში საარჩევნო კამპანიები და გაფიცვები სწარმოებს, რაც როგორც მოსკოვის ყოველდღიურ ბიულეტენებიდან სჩანს, ბოლშევიკებს, რასაკვირველია, დიდათ სასიხარულო მოვლენათ მიაჩნიათ. და ამაშია სწორედ ლოგიკური შეუსაბამობა. თუ კი მთელი ქვეყანა უნდა შეინძრეს იმისთვის, რომ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობა რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერიოს, რად ერევა თვით რუსეთის მთავრობა საქართველოს შინაურ საქმეებში? ავია თუ კარგი თფილისის მთავრობის მოქმედება, ამის მსაჯული ბოლოს თვით ქართველი ერია და არა რომელიმე სხვა გარეშე ძალა,—ეს დასკვნა გამომდინარეობს არა მარტო ჩვენი შეგნებისა, არამედ თვით რუსეთის ბოლშევიკების პოლიტიკიდან.

კიდევ უფრო გაუგებარი და შეუსაბამოა ბოლშევიკების თვალთაზრისით ის აჯანყება, რომელიც მათ ამ შემოდგომაზე მოაწყეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ აჯანყებას მეთაურობდა არა რომელიმე ქართველ პარტიის ორგანიზაცია, არამედ რუსეთის კომუნისტურ პარტიის საოლქო კომიტეტი ფინანსიურ დახმარებას ეს კომიტეტი მოსკოვიდან ღებულობდა. ამიტომ საქართველოში პატარა მასშტაბით განმეორდა ის, რაც იმავე დროს რუსეთში მოხდა. როგორც იქ კურსკისა და ორიოლის აღების შემდეგ ჯან ალმა მემარჯვენე ელემენტებმა მხარი დაუჭირეს ლენინის მთავრობას, რადგან ინსტინქტიურათ იგრძნეს, რომ დენიკინის გამარჯვება ინგლისისა და საფრანგეთის ბატონობას მოასწავებდა, ისე ჩვენში ლანჩხუთისა და ჩოხატაურის აღების შემდეგ ჯან ალმა მემარცხენე ელემენტებმა მხარი დაუჭირეს ნოე ჟორდანიას მთავრობას, რადგან მიხვდნენ, რომ საოლქო კომიტეტის გამარჯვება რუსეთის ბატონობის მობრუნებას მოასწავებდა.

რასაკვირველია, მარტო ამ გარემოებით არ აიხსნება ბოლშევიკების აჯანყების დამარცხება. პოლიტიკურ მემამბოხეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეთ გამარჯვების შანსი, როცა ნათლად გარკვეულ მიზნებს ისახავენ. საქართველოში კი არც ერთს სოციალისტურ პარტიას არ ძალუძს ისეთი მიზნების დასახვა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდეს მთავრობის მიზნებისაგან. სხვათა შორის ამით აიხსნება ჩვენი პარლამენტის სოციალისტურ ოპოზიციის უძლურობა და უფერულობა. ჩვენი შეხედულებით მიზნების მხრივ თვით რუსის კომუნისტებსა და ქართველ სოციალდემოკრატებს შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს. კიდევ მეტს ვიტყვით: განსხვავება არ არის თვით რევოლიუციის ტემპში. ჩვენთვის, ვინც დღევანდელი რევოლიუციური პროცესის აქტიური ან პასიური მონაწილე ვართ, ძნელია ტემპის გაზომვა. მაგრამ როცა პოლიტიკური წონასწორობა აღდგება და ნორმალური ცხოვრება დაიწყება, დაინახავთ თუ რა გასაოცარი ცვლილება მოხდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ძნელად თუ მოიპოვება ერი, რომელსაც ასე მოკლე ხანში უფრო რადიკალური და კეთილის მყოფელი რევოლიუცია განეცადოს. შეიცვალა არა მარტო წარმოების წესი და საკუთრების ფორმა, შეიცვალა მთელი სოციალური და ინტელექტიური ცხოვრება და დღევანდელი საქართველო ბევრით ალირდება ჰგავს ყოფილ რუსეთის ორს გუბერნიას.

აქედან ცხადია, რომ რა რიგ ფიცხელი რევოლიუციონერებიც არ უნდა მოხდნენ საქართველოს მთავრობაში, მათ გაუჭირდებოდათ რევოლიუციის მსვლელობის დაჩქარება. თვით ბოლშევიკების საოლქო კომიტეტი ვერ შეიძლებდა მეთორმეტე საათის მოახლოებას. ძნელი საფიქრებელია, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოში ახლო იყოს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებასთან.

მაშ რაშია ძირითადი განსხვავება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის და რით შეიძლება რამე ძალდატანების გამართლება? ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ ჩვენ მინიმალურ საშუალებებით მაქსიმალურ რეზულტატებს ვაღწევთ. ბოლშევიკებს კი სამოქალაქო ომის წარმოება და ტერორის შემოღება მოუხდათ. ეს სხვადასხვაობა, რასაკვირველია, აიხსნება არა ჩვენი თანდაყოლილი გენიოსობით ან რუსის ბოლშევიკების უკუღმართობით, არამედ

*) რედაქცია ზოგ რამეში არ ეთანხმება ავტორს.

# დღეს

ფრანგული პრესის ცნობით ახლო ხანში მზათ იქნება ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება. საგარეო საქმეთა მინისტრი პარლამენტს გააცნობს მოლაპარაკების შედეგს.

ესტონეთის მოწვევით იანვარში მოხდება ბალტიის სახელმწიფოთა და ფინლიანდიის წარმომადგენელთა თათბირი ეკონომიური საკითხების გადასაწყვეტად.

ავსტრიასა და სამხრეთ სლავურ სახელმწიფოებს შორის დაწყებული მოლაპარაკების შედეგი იქნება, როგორც ფიქრობენ, არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური დაახლოვებაც.

ნორვეგიაში დაარსდა შიმშილობის წინაამდეგ მებრძოლი საზოგადოება, რომელიც დალარიბებულ ერებს დახმარებას აღმოუჩენს. პირველ რიგში საზოგადოება დაეხმარება ხურსათით დ მშეულ ავსტრიას.

სამხედრო სასამართლოების მოსპობის კანონ-პროექტს გერმანიის ეროვნული საბჭო იანვარში განიხილავს.

ბუდაპეშტის სამხედრო საპყრობილის ეზოში სიკვდილით დასაჯეს 14 ტერორისტი.

ბალშევიკების ცნობით. საბჭოთა ჯარმა პოლტავის მიმართულებით კონსტანტინოგრადი აიღო. ურალსკში სათბობი მასალის სიმცირის გამო ქალაქის ქ ლები გაკაფეს.

ობიექტურ პირობებით. ნ. ჟორდანია თავის მოხსენებაში გვარდიის ყრილობაზე შეეცადა იმ ობიექტიურ პირობების გამორკვევას, რომელნიც რუსეთში აუცილებლად ხდიან ბალშევიკურ პოლიტიკას. ხოლო როგორც ჰეგელის კომენტატორი პლეხანოვი ხშირად იტყოდა ხოლმე, რაც აუცილებელია ის გონიერია. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ რუსის ერის სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით ბალშევიკების პოლიტიკა დღეს დღეობით ერთად-ერთი გონიერი პოლიტიკაა. თუ ეს პოლიტიკა სამოქალაქო ომს იწვევს, ამაში ბრალი უძევს არა ლენინის ან ტროცკის შეცდომებს, არამედ იმ გარემოებას, რომ რუსეთში ძლიერია საზოგადოებრივი ელემენტები, რომელთა ინტერესები არ ეთანხმება ერისა და რევოლიუციის ინტერესებს.

მაგრამ თუ ჩვენ რუსეთისათვის ლენინის პოლიტიკის აუცილებლობას და რაციონალობას ვსცნობთ, ბალშევიკებმაც თავიანთ მხრივ საქართველოსთვის ნ. ჟორდანიის პოლიტიკის აუცილებლობა და რაციონალობა უნდა სცნონ. სამოქალაქო ომი ჩვენთვის სრულიად ზედმეტი კომფორტი იქნებოდა: ჩვენ არ გვყავს შეძლებულ ყ ზახ რუსობის მსგავსი წოდება. ჩვენს ღონემიხდილ არისტოკრატიასა და უ უსურ ბურჟუაზიას კი არ ძალუძს რაიმე ორგანიზაციული წინააღმდეგობის გაწევა, თუნდ ძთავრობა მ უკიდურესი სოციალისტური ზომები მიიღოს.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება ყოველგვარ გაუგებრობის მოსპობა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის და ნორმალურ ურთიერთობის დამყარება, რაიცა ასე საჭიროა ორივე სახელმწიფოსთვის. გარეში.

## მიწების ყიდვა-გაყიდვა.

(განის წერილის გამო).

I.

მეტად უწყინარი პროექტი 1918 წ. 23 თებერვლის დადგენილების შეცვლის შესახებ სრულიად მოულოდნელად გადაიქცა დიდ საკითხად, რომელსაც მიწების ყიდვა-გაყიდვა უწოდეს. ამ შეკითხვაში განი შისდა უნებურად ესერ-ფედერალისტების მსოფლ მხედველობის მახეში მოყვა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ის ასეთს მახეს ვერ ასცდება, უკეთუ ლოღიკურ დასკვნებს გააკეთებს წამოყენებულ დებულებებიდან.

ამ საკითხ ს გამო ესერ-ფედერალისტებმა ერთხელ უკვე მოიტანეს ჩვენზე იერიში: ეს იყო ამ წლის იანვარში, როცა ჩვენმა პარლამენტმა მიიღო კანონი ფონდის მიწების კერძო საკუთრებად გადაცემისა. თუ ახსოვს მკითხველს, იანვრის კანონში პარლამენტმა ორი დებულება წამოაყენა: ერთი შეეხება ფონდის მიწების გაყიდვას სახელმწიფოს მიერ, ხოლო მეორე სახელმწიფოდან შეძენილ მიწის მოხმარების წესს. პირველი დებულება გამოხატულია მეშვიდე მუხლში, ხოლო მეორე მეცხრამეტე მუხლში. მეშვიდე მუხლით ფონდიდან მიწა მიეცემა მცხოვრებს იმდენი, რომ მის საკუთარ მიწასთან ერთად ნორმაზე მეტი არ ექნეს, ხოლო მეცხრამეტე მუხლის ძალით ფონდიდან მიღებულ მიწის გაყიდვა ყველაზე შეიძლება. მაშასადამე მყიდველს არ ეკრძალება ასეთი მიწის ყიდვა, თუნდაც მას კიდეც ჰქონდეს ერთი ნორმა. და მხოლოდ გამყიდავია შეზღუდული ერთი მოთხოვნით: ფონდიდან მიღებული მიწა მან პირველად ერობას უნდა შესთავაზოს და უკე თუ ერობა უარს იტყვის მის შეძენაზე, მხოლოდ ასეთი უარის შემდეგ შეუძლია მას ფონდიდან მიღებული მიწის სხვაზე გაყიდვა.

ეტყობა განმა ყურადღება არ მიაქცია 28 იანვრის კანონის ამ ორ მუხლს და ამიტომ გონია მას, ვითომ მიწათმფლობელობის მაქსიმუმი იყოს დაწესებული.

მაგრამ ეს აგრე არ არის.

სამწუხაროდ, განი, ეტყობა, განმარტოებულად არ უნდა იდგეს კანონის ასე გაგებაში. და ეს არც გასაკვირია, რადგან ჩვენ ყველას უპირველეს ყოვლისა გვაინტერესებს უმიწლო ხალხისათვის მიწის მიცემა და ეს სრულიად ბუნებრივი ფსიხოლოგიური გრძნობა ზოგჯერ გვავიწყებს იმასაც კი, რაც გუშინ სრულიად შეგნებულად და წინდახედულად ჩავიდინეთ.

რად მოხდა ისე, რომ 28 იანვრის კანონის მე-7-ე მუხლი აწესებს მიცემის ნორმას ხოლო მე-19-ე მუხლი ნორმას, ასეთ ნორმას უარჰყოფს? იქნებ კანონმდებელი, ამ შემთხვევაში, პარლამენტის ს.-დემ. ფრაქცია შესცდა? სრულიადაც არა. იოტის ოდენა შეცდომაც არ დაუშვია. ოდნავადაც არ გადაუხვევია პარტიულ პროგრამის გზიდან.

ჩვენ არ ვიცით რა იქნება მომავალში, მაგრამ დღევანდელ პირობების მიხედვით, ს.-დემოკრატიას არ შეუძლია რაიმე ნორმა დააწესოს მიწათმფლობელობაში, დასდოს საზღვარი, რომელს ზევით წასვლა არ შეიძლებოდეს. ჩვენ მხოლოდ ერთი ნორმა მივიღეთ ეს არის ნორმა დატოვების. სეიმის კანონმა მემამულეს დაახლოვებით, ვარაუდით დაუტოვა იმდენი მიწა, რამდენიც მას ეყოფა წვრილ მეურნეობის საწარმოებლად. 28 იანვრის კანონის მე 7 მუხლიც ასეთსვე ნორმას აწესებს ფონდიდან მისაცემ მიწებისათვის მხოლოდ ერთად ერთი წმინდა ტეხნიკური მოსაზრებით: ფონდის მიწების სიცოტავის გამო აქ აუცილებლად არის ერთგვარი ლოღიკა: ჩამოთმევის დროს ვუტოვებთ 7 ს ან 15 დესეტინას და დარიგების დროსაც ამ ნორმამდე ვაძლევთ. სამაგიეროთ არ ვზღუდავთ იმათ: ვისაც დავუტოვეთ 7 ან 15 დესეტინა და არც იმათ ვისაც მივყიდეთ ფონდის მიწა. ამ უკანასკნელს, როგორც ვთქვით, მხოლოდ იმას ვავალებთ, რომ ასეთი მიწის გაყიდვის დროს პირველად ერობას მიმართოს. სხვა რამეს ჩვენი კანონი მას არ აკისრებს.

ბევრის თქმა შეიძლებოდა იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა დავაკანონოთ ჩვენ მიწათმფლობელობის გადაჭრილი ნორმა, რატომ არ უნდა დავაწესოთ ისეთი მაქ იმუმი, რომლის ზევით არავის შეეძლოს მიწის შეძენა: მკითხველმა მოიგონოს ის დავა, რომელსაც დიდი ხნის აწარმოებენ ჩვენს წინააღმდეგ ესერ-ფედერალისტები. ახლა კი საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი ფაქტიური მდგომარეობა. ვინც გაცნობილია ჩვენი მიწათ-მოქმედების სამინისტროს მუშაობას, მას ეცოდინება ისიც, რომ დატოვების ნორმა ყოველ შემთხვევაში ერთნაირი არ არის. ჯერ ერთი თითონ კანონით შეიძლება გადიდებულ იქნეს პირველ კატეგორიის მიწების ნორმა შვიდიდან ათ დესეტინამდე, ხოლო მეორე კატეგორიის—ხუთმეტიდან ოცამდი. მაშასადამე არის შემთხვევები, როცა ერთს უტოვებენ 7 დესეტინას და მის გვერდით მეორეს უტოვებენ 10 დესეტინას, ერთს უტოვებენ 15 დესეტინას, ხოლო მის მეზობელს 20 დესეტინას.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დასატოვებელ მამულის ჩარიცხვა პირველს თუ მეორე კატეგორიაში არ ხდება სასტიკი მეცნიერული სისწორით, ხშირად მივიღებთ ისეთს განსხვავებას, როგორიც არის განსხვავება 7 და 20 შორის. მე არაფერს ვამბობ მესამე კატეგორიაზე, რადგან ასეთი მამულების რიცხვი ძლიან ცოტაა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მიმღები კომისიები ბევრგან ხელუხლებლად სტოვებენ ისეთს მემამულეებს, რომელთაც ნორმაზე მეტი აქვთ, რაღაც ერთი ან ორი დღიურით. და ყველა ამის შემდეგ ვის შეუძლია თქმა, ვითომ ჩვენს აგრარულ კანონმდებლობას ოდესმე ეფიქროს ერთგვარ სავალდებულო ნორმის დაწესებაზე? ვინც სერიოზულად მოითხოვს მაქსიმუმის დაწესებას, მას მუდამ თოკი უნდა ეჭიროს ხელში და ზომავდეს, რომ ამა თუ იმ პირს ნორმაზე მეტი არ შეუგროვდეს.

აიღეთ მაგალითი: ორ ძმას აქვს თხუთმეტ-თხუთმეტი დესეტინა მეორე კატეგორიის მიწა, რადგან ისინი ცალცალკე ცხოვრობენ. მაგრამ ვთქვათ ერთი გარდაიცვალა უშვილოთ და მისი თხუთმეტი დესეტინა მის ძმას დარჩა. ამ შემთხვევაში მას გაუჩნდება მთელი ოცდაათი დესეტინა. კიდევ მაგალითად: 28 იანვრის კანონით თქვენ მიეცით ივანეს ათი დესეტინა, რადგან მხედველობაში მიიღეთ მისი ოჯახის სიმრავლე, პეტრეს კი მიეცით ხუთი დესეტინა. მაგრამ ივანეს მალე დაეხოცნენ შვილები, მიწა კი ორჯერ მეტი დარჩა პეტრესთან შედარებით. რას უზამთ? წაართმევთ? ვის გადასცემთ? აქ მხოლოდ ერთად ერთი ლოღიკაა, თუ მაქსიმუმს დავაწესებთ: ეს არის ესერების გათანასწორებული მიწათმფლობელობა.

გვეტყვიან: თუ მაქსიმუმს არ დააწესებ, ისევ გაჩნდებიან მსხვილი მიწათმფლობელები და სოფლებს ისევ ხელში ჩაიგდებენო. რას ნიშნავს ეს?

შესაძლოა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ფეხი მოიკიდოს მამულების ფართოდ დამუშავების ფორმამ. მე პირადათ ვფიქრობ, რომ ერობა ამ საქმეში დიდ უნარს გამოიჩენს, რაშიაც ჩვენი დღევანდელი კანონმდებლობა მას მეტად ფართო გასაქანს აძლევს. მაგრამ ხომ შეიძლება, კერძო თაოსნობამაც გამოიჩინოს ფეხი. რა უნდა გვქონდეს ჩვენ ამის წინააღმდეგი?

მაგრამ ეს შორეული მომავლის საქმეა. დღეს დღეობით კი სრულიად საკმაოა ის, რომ ერობებს და ქალაქებს ჩვენი კანონმდებლობა ყველაფერში უპირატესობას აძლევს. ეს საკმაოა მისი განვითარებისათვის. მაგრამ თუ ის ამას ვერ შესძლებს, რა საჭირო იქნება მიწის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლის ხელოვნურად შეჩერება, აქ მოხდებოდა ის, რასაც ხალხის სიბრძნე ამბობს: ბუნებას თუ კარი დაუხშე, ფანჯრიდან შეიპარებაო.

გარდა ამისა არის თუ არა საშიშროება, რომ მამულები ერთი ორი პირის ხელში დაგროვდეს? მე ვფიქრობ, რომ არა.

ჯერ ერთი შეუძლებელია ერთად დიდი მამულის დაგროვება, რადგან მრავალი ნორმებია არეული ერთმანეთში. თეორეტიულად, რასაკვირველია, წარმოსადგენია ეს: მყიდველი შეიყიდის ახლო-მახლო მდებარე ყველა ნაჭრებს და დიდი მამულიც მზად იქნება. რა გულუბრყვილობაა! რომელი მოსაზრებით ფიქრობს ვინმე, რომ წვრილი ნაჭრების პატრონები ასე ადვილად შეელევიან თავიანთ ნაჭრებს?

მეორეც ის, რომ ვინ იქნება ისეთი თავზე ხელაღებული, რომ დღეს დიდი მამული შეიძინოს. მართალია, შესაძლებელია დავუშვათ ერთი რამ: მდიდარი, ფულის პატრონი იყიდის მამულს, რომ შემდეგ ის სხვებზე გაჰყიდოს უფრო ძვირად ან იჯარით გასცეს, ე. ი. სპეკულიაციას ექნება ადგილი. ეს მართალია. მაგრამ გაყიდვის აკრძალვა რას გვიშველის. სანამ სოფლად არსებობს მდიდარი და ღარიბი, უფულო და ბევრი ფულის პატრონი, ვერავითარი აკრძალვით ვერ შესძლებთ, რომ მიწა არ იყოს სპეკულიაციის საგანი.

ასეთია მოკლედ ჩემი აზრი ყიდვა-გაყიდვის საკითხის და ნორმის შესახებ საერთოდ. ეს დავა სულ არ შეეხებოდა იმ პროექტს, რომელსაც განი არჩევს, მაგრამ რადგან მან ინება და გააფართოვა საკითხი, მეც საჭიროდ დავინახე ორიოდე სიტყვა მომეხსენებია მკითხველისათვის ამ წერილში, ხოლო თითონ პროექტზე მეორე წერილში შევჩერდები. ქ. ნ.

# დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

23 დეკემბერი.

### ბალშევიკური ცნობები.

ურალსკი. 22 დეკ. ქალაქში ძლიერ გაძლიერდა სათბობი მასალის უქონლობით გამოწვეული კრიზისი. პროფესიონალური კავშირები ენერგიულათ შეუდგენ შეშის მზადებას. გაჰკაფეს ქალაქის ქ ლები. ახლად შედგენილ წითელ არმიელთა რაზმი მოითხოვს, რომ ისინი გაგზავნილ იქმნენ საშიშრო ფრონტზე, სადაც მეტი საფრთხე მოელის წითელ არმიას.

მოსკოვი. სამხედრო ცნობები. დეკემ. 22. ნარვის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაატყვევა მტრის პარტიზანული რაზმი, რიცხვით 50 კაცამდე. პოლოცკის რაიონში მტერი შეეცადა მდ. დასავლეთ დვინაზე გადმოსვლას, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ისინი უკუ აგდო. ჟიტომირის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის ბერდიჩევის სამხრეთით 15 ვერსის მანძილზე. კიევის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო რკინის გზის სადგური კოჟანკა, რომელიც მდებარეობს 15 ვერსზე ფასტოვის სამხრეთ დასავლეთით. თვით კიევის რაიონში ჩვენ ავიღეთ სადგური ბოიარკა და სოფლების მთელი რიგი კიევიდან სამხრეთით 15 ვერსზე. ზლოტონოშკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა გასტეხა მტრის რაზმი და მედგრათ წინ მიიწევს. კრემენჩუგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია 25 ვერსზე ჩრდილოეთით. პოლტავის რაიონში, ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. კონსტანტინოგრადი. ხარკოვის რაიონში ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს სამხრეთით 60 ვერ. ბახმუტის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა გენ. მამონტოვისა და შკუროს რაზმები სადგურ სვატოვის სამხრეთით და უკუაგდო მდინარე ჩრდილო დონეცის მეორე ნაპირზე. ბახმუტიდან ჩრდილო აღმოსავლეთით 40 ვერსის მანძილზე. სტარობელსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო ქალაქი სტაროველსკი. 20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე ჩვენმა სამხრეთის ჯარმა დაიპყრო ტერიტორია სივრცით 125 ათასი კვადრ. ვერსისა, ქალაქებით კიევით, ხარკოვით, პოლტავით და 39 უფრო მომცრო ქალაქებით. რკინის გზის სიგრძე აღნიშნულ ტერიტორიაზე უდრის 3,600 ვერსს და მასში შედის მაგისტრალი კურსკი-კიევი; კურსკი-ხარკოვი; ხარკოვი პოლტავა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 5289 ჯარისკაცი და 80 აფიცერი. დიდძალი სამხედრო მასალა. გარდა ამისა ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა მთელი შტაბი მამონტოვისა მისი საიდუმლო დოკუმენტებიანურთ და აგრეთვე რამოდენიმე პოლკის შტაბები. ბოგუჩარის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს სადგურ ჩერტკოვოსკენ, რომელსაც მიუახლოვდა 12-20 ვერსით. უსტ-ხოპიორის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ხუტორი, ზოტოვსკი და ტყვეთ წამოიყვანა 200 კაცი. კრასნოვოდსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სად ბალა იშემი, რომელიც მდებარეობს 120 ვერსით კრასნოვოდსკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ბრძოლაში დავატყვევეთ 500 მტრის ჯარისკაცი, წავართვით 5 ზარბაზანი 30 ტყვიისმფრქვეველი, ჯავშნიანი მატარებელი, 300 ვაგონი, 30 ორთქმავალი, და სხვა. ნოვო-ნიკოლაევსკის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის 110 ვერსზე ქალაქიდან აღმოსავლეთით.

### მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. დეკ. 18. ასტრახანის და კამიშინის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. ბალაშოვის და ტალოვის მიმართულებით დონზე, ილოვლიდან მოგულინსკაიამდე მოწინავე რაზმების შეტაკებაა. ბოგუჩარის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარი კამენკა-მარტმანოვკა მარიევკის ფრონტზე იბრძვის. ვალუიკის მიმართულებით კუპიანსკ-სვატოვის რაიონიდან ახალი ცნობები არ მოსულა. გრაკოვთან, ზმიევსკასთან და მერეფის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. პოლტავის მიმართულებით თერგის ჯარმა კონსტანტინოგრადის ჩრდილოეთით საბჭოთა ბრიგადას შეუტია, დაამარცხა და ბატალიონი ტყვეთ წამოიყვანა. რაპოვკას რაიონში დასავლეთით მზვერავები მოქმედობენ. პირიატინის მიმართულებით ხოროლის და პირიატინის სამხრეთით მზვერავები მოქმედებენ. ჟიტომირის მიმართულებით, კიევის და ბერდიჩევის რაიონიდან ახალი ცნობები არ მოსულა. კამენეც-პოდოლის და ოდესის რაიონში სიწყნარეა.

### ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა და გერმანიის საზღვაო ექსპერტების სხდომა შაბათს არ შედგარა. უცდიან ადგილობრივ გამოკვლევის შედეგს, რაიც მინდობილი აქვს ბერლინში მყოფ მოკავშირეთა საზღვაო მისიას. გერმანელებმა უმაღლეს საბჭოს წარუდგინეს ცნობანი ძველ მცირე კრეისერების შესახებ, სულ ახალ ხუთ მსუბუქ კრეისერის მაგიერ, რომლებიც 1 ნოემბრის ოქმის ძალით მოკავშირეებს უნდა გადაეცეს. ძველი კრეისერები შერიგების დროს გერმანიის საამიზდამდ რომ ხმარებ სათვის უვარგისად იცნო.

უმაღლესი საბჭოს სხდომა იქნება ორშაბათ დილით, თუ ინგლისის დელეგაცია ლონდონიდან სათანადო ჩვენებას მიიღებს, იგი ხელ ახლა შეუდგება მსჯელობას იმ კომპენსაციების შესახებ, რომლებიც გერმანიიდან უნდა იქნეს მოთხოვნილი. ინგლისის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა ადგილობრივ, დანციგსა და გერმანიის სხვა ნავთსადგურებში, შეამოწმოს ცნობები, რომლებიც მოკავშირეთა ექსპერტებმა შეაგროვეს იმ საზღვაო მასალის შესახებ, რომელიც გერმანიას აქვს დღესდღეობით. ამ შემოწმების შედეგები, რომლებიც მეტად საჭიროა ამ საკითხისადმი მოკავშირეთა დამოკიდებულების გამოსარკვევად, ჯერჯერობით გამოურკვეველია. რაც შეეხება იმ შეთანხმებას, რომლებიც უნდა მოხდეს საზავო ხელშეკრულების პირობების პრაქტიკულად განსახორციელებლად და განსაკუთრებით კი ზოგი ტერიტორიის მოკავშირეთადმი გადაცემას, მოსალოდნელია, რომ ამის შესახებ გერმანიისა და მოკავშირეთა ექსპერტების სხდომა ოთხშაბათს მოხდეს.

საზავო ხელშეკრულობის ძალაში შესვლის დამაჩქარებელი გერმანული კომისია კვირა დილით პარიზში ჩავიდა. ისინი ჩამოვიდნენ კელნიდან. მათ ჩვეულებისამებრ თან ახლდა ფრანგ ქანდარმთა კაპიტანი. სადგურზე მათ შეეგებნენ თანამემამულენი მაიორ ბრანდტი და ლეპერი, რომლებთან ერთად ისინი ავტომობილებით გერმანელთა დელეგაციის სხდომაზე გაემგზავრენ.

ვენიდან მოსული ცნობით კანცლერი რენნერი ამ ახლო ხანში გაემგზავრება ბელგრადში ავსტრიასა და სამხრეთ სლავურ სახელმწიფოების შორის დაწყებულ მოლაპარაკების გასაგრძელებლათ. სამხრეთ სლავიის სატახტო ქალაქში მოლაპარაკებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. ამ მოლაპარაკებათა შედეგათ ელიან ამ სახელმწიფოთა შორის არა მარტო ეკონომიურ, არამედ—პოლიტიკურ დაახლოვებასაც.

(დასაწყისი არ მიგვიღია)... ხელშეკრულება მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ იქნება მზად. რაც შეეხება პოლიტიკურ ხელშეკრულებას,—ამის შესახებ პარიზსა და ლონდონს შორის სათანადო მოლაპარაკება უკვე დაიწყო. უკვე ზოგან უთანხმოება მოსჩანს, მაგრამ ამ მოლაპარაკებათა შედეგი, როგორიც არ უნდა იყოს,—ერთი ცხადია: ომით დანგრეულ ბელგიის ნეიტრალიტეტი არავითარ შემთხვევაში არ იქნება აღდგენილი. საგარეო საქმეთა მინისტრი, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება, პარლამენტს გააცნობს მოლაპარაკების შედეგებს.

ნორვეგიის წითელი ჯვრის კომიტეტმა ჟენევის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს აცნობა, რომ ნორვეგიის მიწად-მოქმედებისა და ფილანტროპიულმა საზოგადოებებმა დაარსეს შიმშილთან მებრძოლი კომიტეტი. ამ კომიტეტის მიზანია ყველაზე უფრო დაღარიბებულ ერებს დახმარება გაუწიოს. შემოწირულებას დიდის სიამოვნებით იძლევიან და ნორვეგიის წითელ ჯვარს იმედი აქვს, რომ წლის ბოლომდის იგი ვენაში გამოგზავნის ერთ მატარებელს საჭ რო სურსათ-სანოვაგით.

ბელგრადიდან იტყობინებიან: სკუპშჩინ ს სესიები მომავალი წლის 15 თებერვლამდი იწარმოებსო.

სტოკჰოლმი. გაზ. „ჰელსინგ ნ სანომატი" იტყობინება: ესტონეთის მთავრობის ინიციატივით ბალტიის სახელმწიფოებისა და ფინეთის წარმომადგენლები იანვრის დასაწყისში შეიკრიბებიან დერპტში ეკონომიურ საკითხების გადასაწყვეტად.

დანიკინისაგან მოსული რადიოს ცნობით სამხედრო საბჭოს სხდომაზე გადაუწყვეტიათ, რომ მთავრობა და უმაღლესი სარდლობა შეუთანხმდეს რუსეთის განაპირა სახელმწიფოების მთავრობებს რუსეთთან ფართო კავშირის დადებით, რათა ამ გვარათ თავის ძალები ბალშევიკების წინააღმდეგ მიმართონ.

### გერმანული პრესის ცნობები.

კიდევ გავრცელდა ხმები გერმანულ ავსტრიისა და საფრანგეთის გერმანიის წინააღმდეგ მოსალოდნელ კავშირის დადების შესახებ. ქრისტიანი სოციალისტები აცხადებენ: სანამ ჩვენ პარტიას გავლენა და ფასი ექნება, მანამ გერმანულ ავსტრიის ამგვარ ორიენტაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ ეროვნულ იდეალების განხორციელებისათვის ხანდახან რაიმეს უარყოფა გვიხდება, ყოველ შემთხვევ ში ეს გერმანულ ავსტრიის მიერ გერმანიისადმი მტრულ განწყობილებას სრულებითაც არ ნიშნავს.

ბუდაპეშტის სამხედრო საპყრობილის ეზოში 14 ტერორისტი სიკვდილით დასაჯეს.

გერმანიის მთავრობამ ბელგიას ნოტა გაუგზავნა დღემდის ბელგიაში დარჩენილ 20 გერმანელი ტყვეს დაბრუნების შესახებ.

თემთა პალატაში თქმულ უკანასკნელ სიტყვაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მოკავშირეები ფიქრობენ თურქებს კონსტანტინეპოლი წაართვანო.

სამხედრო სასამართლოების მოსპობის კანონპროექტს თანახმად გერმანიის კონსტიტუციისა, ამ დღეებში განიხილავს მინისტრთა საბჭო და იანვრის პირველ რიცხვებში იგი, ალბათ, ეროვნულ კრებაში იქნება შეტანილი.

# ახალი ამბები

ხომხეთ ადერბეიჯან ს კონფერენცია. ბაქოდან ქპრესბიუროს ტყობინებენ, რომ სომხეთ ადერბეიჯანის წარმომადგენლები ტერიტორიალურ საკითხში ვერ შეთანხმებულან. ამის გამო სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციის მუშაობა ერთი თვით შეწყვეტილა.

აბდურღოვის წასვლა. 22 დეკემბერს თფილისიდან ბაქოში გაემგზავრა ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთის მთავრობასთან, აბდურაგიმბეკ-ახვერდოვი.

თელავიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ: 17 დეკემბერს ყვარელის რაიონში ყაჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა გვარდიელთა რაზმი. ყაჩაღები იმდენად გათავხედდნენ, რომ რაზმის მისვლის შემდეგ დაეცნენ საკრედიტო ამხანაგობის ხაზინადარს და გაძარცვეს. 18 დეკემბერს რაზმთან არსებულმა სამხედრო საჯანგებო სასამართლომ შეპყრობილ ყაჩაღებიდან სიკვდილით დასაჯა გაუწყვეტიათ: შაქრო ფურცელაძის შვილს, მიხა ბეჟანიშვილს, ვანო მამისურაძეს, ნიკო ჰეჟეშვილს და ნიკო ომანიშვილს. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 19 დეკემბერს.

სტუდენტთა დღე. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა 26 იანვარს, სახელმწიფო უნივერსიტეტის დღეს გამართოს სტუდენტთა დღე. ამ დღეს, [illegible] ქართულ კლუბში და სხვაგან.

ოზურგეთის სამაზრო ერობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნატანების საბაჟოში დაკავებული ფართლეული დი სხვა საქონელი, რომლის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა დანიშნულია 25 დეკემბერს, შეღავათით გადაეცეს სიღნებულ ერობას თავისი საჭიროებისათვის.

ტრამვაის პარკში. დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, საქ. სოც.-დემოკრატიულ მ. პარტიის საზოგადო კრებაზე (ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა). მოხსენებას გააკეთებს დამფ. კრ. წევრი ამხ. გრ. გიორგაძე. თემა: საქ. სახელმწიფოებრივი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და სურსათის საკითხი. გასარჩევია კიდევ სხვა კითხვები. ვთხოვ ამხანაგ ტრამვაიელებს გამოცხადდენ კრებაზე დაუგვიანებლად.

ცნობილ ყაჩაღის მოკვლა. 19 დეკემბერს ღამით აბაშის უბნის მილიციონერებს მოუკლავთ ცნობილი ყაჩაღი ვანო ჩაჩავა.

საზღვარგარეთ მიმავალ სტუდენტთა საყურადღებოთ. სტუდენტთა მესამე (იტალიის მიმართ) ჯგუფი მიემგზავრება პარასკევს, 25 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე. ყველა თფილისში მყოფი ამხანაგები უნდა გამოცხადდენ პარასკევს დილის 10 საათზე, განათლების სამინისტროს ბინაზე.

სახალხო უნივერსიტეტი: დღეს, საღ. 6 ს., სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი ლექციები: 5 განყ. (წ. ნინოს რაიონი) 1) ი. ანთაძე „საქ. ისტორია" 2) კაპ. გორგაძე „საქართველოს გეოგრაფია"; 7 განყ. (საბურთალო) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები" 2) ასათიანი „საფრანგეთის რევოლიუცია"; 8 განყ. (ავლაბარი) 1) შ ლამბერიძე „ქიმია", 2) ს. დოლიძისა „საუბარი საქართველოს შესახებ".

სახელმწიფო თეატრი. დღეს მე-4 გასტროლი ნ. კოშიცისა „ევგენი ონეგინი".

„ტყის ძმები". იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ კანტორა „განათლების" გამოცემა, ა. ბელეისპირელის მოთხრობა, გურიის ცხოვრებიდან—„ტყის ძმები".

საგარეო საქმეთა მინისტრი იღებს მთხოვნელებს სამინისტროში (ირმოლოვის ქუჩა № 9) ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათამდე. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი იღებს მთხოვნელებს იმავე სამინისტროში ორშაბათობით და ხუთშაბათობით 12—2 ს.

კ რ ე ბ ე ბ ი

24 დეკემბერს, საღ. 5 ს. შესდგება საქ. სოც. დემ. პარტიის სომხურ სექციის სხდომა ბიუროს ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 24).

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ფელეტონის მეხუთე სვეტის მეოთხე სტრიქონში ქვევიდან, იქ, სადაც თ ვლება სიტყვა „დეპუტატი", უნდა ჩაემატოს შემდეგი: „კომუნისტი იყო ვოლ უდიდესი საკითხი—გლეხის მიერ სოციალისტურ იდეების შეთვისების შესახებ ლენინის ხელში შემთხვევითი ყრილობების უბრალო სტატისტიკურ ცნობების ხასიათს ღებულობს. ასეთი „ბრძნული" აზრებით არის გავსებული ლენინის ეს ნაცოდვილევი".

### პროვინციის ქრონიკა

სამტრედია. კვირას, 28 დეკემბერს, სამტრედიაში დანიშნულია სამტრედიის საკოლექტივო ს. დ. ყველა პარტიის წევრთა კრება. კრება, როგორც მეორეთ მოწვეული, კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. კრება გაიხსნება დილის 10 ს. საქ ეუბლის დარბაზში.

დაბა ხონის კულტურულ განმანათლებელი წრე 28 დეკემბერს მართავს დაბა ხონში საზეიმო საღამოს ამ წრის ერთი წლის არსებობის აღსანიშნავად. წრის პრეზიდიუმი.

ბათუმი. ფასები სანოვაგეზე საშინლათ იზდება. ლობიო გირვანქა ღირს 25 მანეთი, პური 50—45 მანეთი გირ. ქვედი გირ. 25 მანეთი. მჭადის ფქვილი ფუთი 800 მანეთი, კომბოსტო 200 მანეთი ფუთი, ყველი 120 მანეთი გირ. ხორცი ძროხის—50 მანეთი გირ., ღორის ხორცი 65—70 მანეთი გირ., საპონი გირ. 120 მანეთი, სპიჩკა ცალი 10 მანეთი, შეშა ფუთი 80 მანეთი, საჟენი კი 15,000 მანეთი.

# უცხოეთი

რ უ ს ე თ ი

მაქსიმ გორკი რუსეთის შესახებ. ფრანგ ჟურნალისტს საუბარი ჰქონდა საბჭოთა დაწესებულებებში მომუშავე მაქსიმ გორკისთან, რომელმაც შემდეგი

ხაინტერესო ცნობები გადასცა მოსაუბრეს. პირველ ყოვლისა მან გადაჭრით უარყო და საყვლეთ ევროპაში გავრცელებული ხმები, თითქოს იგი, კომუნისტთა პარტიაში შესულიყოს: იგი მუშაობს განათლების კომისარიატში მხოლოდ იმიტომ, რომ დახმარება აღმოუჩინოს ბნელ და გაუნათლებელ რუსეთის ხალხს. შემდეგ გორკი შეეხო რევოლიუციას და განაცხადა, რომ იგი მოუთმენელათ ელოდა მას, მაგრამ არც ერთხელ არ უფიქრია იმ საშინელებაზე —ტერორზე, რომელიც რევოლიუციას მოყვა; გორკი განაგრძობს ბრძოლას, რათა რევოლიუციამ მალე განვლოს ეს საშინელი ხანა და ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში. მომავალს გორკი პესიმისტურათ უცქერის, მისი აზრით ბოლშევიზმმა უნდა გაიაროს თავისი გზა და მასთან შეუძლებელია კომპრომისებზე ლაპარაკი. ეს სხვათაშორის იმით აიხსნება, რომ რუსულ კომუნიზმის ყველა მოღვაწეთაგან მხოლოდ ერთად ერთი ლენინია განსაკუთრებული ნიჭისა და ფართე წარმოდგენის პატრონი; დანარჩენები ყველა მოუხეშავი, გაუნათლებელი ფანატიკოსებია, რომლებსაც მსჯელობა არ შეუძლიათ. გორკის აზრით, ბოლშევიკებმა თავიდანვე ერთი დიდი შეცდომა დაუშვეს: მათ დაიწყეს გლეხობა, რომელიც დღეს ზიზღითა და მტრულათ ეკიდება ქალაქს და საბჭოთა მთავრობას. მუდმივი რეკვიზიციები სოფლათ იწვევენ გლეხთა ამბოხებებს. კერძო პირები—გლეხები მდიდრდებიან ქალაქის შიმშილობის ხარჯზე; გორკი ასახელებს ერთ გლეხს, რომელსაც ფარულათ მიაქვს ქალაქში ფქვილი და ერბო და ჰყიდის საზღაპრო ფასებში; ფულით კი შემდეგ საათებს ყიდულობს: მას უკვე 17 ცალი ოქროს საათი შეუძენია. სურსათ-სანოვაგის ფასები ქალაქებში საზღაპროა; შიმშილობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

**ციმბირის მთავრობა.** ციმბირის მთავრობამ მიმართა ადმირალ კოლჩაკს და ითხოვა განთავისუფლება. კოლჩაკმა თხოვნა დააკმაყოფილა. შინაგან საქმეთა მინისტრს პეპელიაევს დაევალა ახალი კაბინეთის შედგენა, რომელშიაც ნაციონალურ გაერთიანების მომხრენი შევლენ.

**ახალი რესპუბლიკა.** ევროპის რუსეთის ჩრდილო აღმოსავლეთში დაარსდა ახალი რესპუბლიკა—ბაშკირეთი. რესპუბლიკის სათავეში ბაშკირთა სამხედრო საბჭო სდგას. მოეწყო ჯარი. საბჭოთა მთავრობამ უფლება მისცა სამხედრო საბჭოს იარსებოს სრულიად დამოუკიდებლათ, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ იგი არ მიიღებს მონაწილეობას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**საბჭოთა რუსეთი და თურქესტანი.** უკანასკნელ ხანებში საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა თურქესტანში საგრძნობათ იცვლება. მოსული ცნობების თანახმათ ადგილობრივ კომუნისტურ მთავრობამ ცენტრიდან დირექტივები მიიღო, რომლის თანახმად გატარებულ უნდა იქნეს ცხოვრებაში საყოველთაო საარჩევნო პრინციპი და აგრეთვე უფლება მიეცეს ადგილობრივ მუსულმანებს მოაწყონ თავიანთი ცხოვრება ისე, როგორც მათ მოესურვებათ.

ა მ ე რ ი კ ა.

**საფრანგეთი და ამერიკა.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან: ამერიკის სენატმა განიხილა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ამერიკას უნდა აღმოეჩინა საფრანგეთისათვის დახმარება სურსათ-სანოვაგის მიწოდებით 5 წლის განმავლობაში. დღევანდელ ეკონომიურ კრიზისის დროს საფრანგეთისათვის ასეთი დახმარება მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამერიკის სენატმა 48 ხმით 31-ის წინააღმდეგ ამ საგანზე წარდგენილი კანონპროექტი უარყო.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

**შეთქმულობის მოლოდინში.** გაზ. „ტან"-ის ცნობით გერმანიის მონარქისტული წრეები აშკარა აგიტაციას ეწევიან ძველი რეჟიმის სასარგებლოთ. ამ მიზნით ბერლინსა და ამერონგენს (ჰოლანდია) შორის, სადაც ექს-კაიზერი ცხოვრობს, მჭიდრო კავშირი არსებობს.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

**ამიერ კავკასიის საკითხი.** საფრანგეთის პოლიტიკას კავკასიის მიმართ თანდათან ეტყობა გადატეხა. პოლკ. შარდინის მოხსენებამ საზოგადოებრივი აზრი ვერ დააკმაყოფილა. პრესის ერთი ნაწილი დაჟინებით მოითხოვს, რათა ამიერ-კავკასიაში გაგზავნილ იქნეს სწორი ინფორმაციის მისაღებათ საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ პარლამენტის წევრები და საზოგადო მოღვაწენი. ამ აზრს იცავს არა მარტო მემარცხენე, არამედ—ზომიერი პრესაც.

ს ო მ ხ ე თ ი.

**სწავლა-განათლება.** ყარსის ოლქში 15 ნოემბრამდე გაუხსნიათ 75 სკოლა; ამათში 34 სომხური, 10 რუსული, თურქული 17, ბერძნული 11, ქართული 3. სკოლებში 178 მასწავლებელი: სომხები 108, რუსები 27, თურქები 23, ბერძნები 20. ყარსში, კაგიზმანში და ხარჯამიში სწავლა-განათლება სავალდებულოთ და უფასოთაა გამოცხადებული.

**სასურსათო ჭანჭა.** „აშხატავორს" ერევნიდან შედეგს სწერენ: დეკემბრის 17-ის სხდომაზე პარლამენტში ფრაქციანმა შეკითხვა შეიტანა, რომელიც შეეხებოდა თფილისში, ახალქალაქში და ჩრდილო კავკასიაში მომქმედ სასურსათო კომისიების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას. მის მიერ მოყვანილ ცნობებიდან გამოირკვა, რომ იმ 48 მილიონ მანეთიდან, რომელიც მიუღია ხსენებულ დაწესებულებებს, მხოლოდ 14 მილიონი მოხმარებია სომხებს დანარჩენი 34 მილიონი მანეთი კი ცარიელ ქაღალდების საბუთებით გადაქცეულა. შეეხენ თამამშიანის, დოქტ. მარგარიანის, ტერ ყაზარიანის, არამ ტერ-გრიგორიანის, არშაკ ზურაბოვის (მოიგონეს ვობლის ისტორია), მელიქ-შაჰნაზარიანის და სხვა მოქმედებას. სასურსათო მინისტრმა თავის პასუხში ვერაფერი უარყო, აღნიშნა მხოლოდ, რომ მინისტრებს ვერმიშიანს და ყულიანს დიდძალი ფულები მიუციათ დასახელებულ პირთათვის უკანტროლოთო. სხდომაზე დამსწრეთა შორის გაისმოდა ხმები: „სამართალში მიეცით", „სასტიკი სამართალი" და სხ. ამის თვის თავმჯდომარე ს. ტიგრანიანი იძულებული იყო ხალხი გაეძევებინა პარლამენტიდან. მიღებულ იქნა ფორმულა, რომლითაც წინადადება ეძლევა მთავრობას სასტიკი გამოძიება მოახდინოს და სამართალში მისცეს დამნაშავენი.

ო ს მ ა ლ ე თ ი.

**კონცესიები.** გაზ. „საბახ"-ი იტყობინება, რომ კონსტანტინოპოლში მყოფ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს ოსმალეთის მთავრობას წარუდგინოს მათ სია იმ კონცესიებისა, რომელიც ოსმალეთში ჰქონდათ გერმანიას, ავსტრიასა და ბულგარეთს. უმაღლეს კომისრებმა განაცხადეს ამასთანავე, რომ ეს კონცესიები უნდა გადაეცეს განკუთრებულ კომისიას, რომელმაც ზარალის ანაზღაურების საქმე უნდა მოაგვაროს.

ი ნ გ ლ ი ს ი.

**ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა.** გაზეთ „ივნინგ ნიუსში" მოთავსებულია ინგლისის მთავრობის წევრის ალფრედ მონდის წერილი ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მონდი ოპტიმისტურათ უყურებს ინგლისის მრეწველობას, მიუხედავათ იმისა, რომ ამჟამად პოლიტიკური მდგომარეობა ცენტრალურ ევროპის დიდ მერყეობას განიცდის. დიდი ბრიტანიის სახელმწიფოს ვალი ფინანსიური წლის დასასრულს იქნება 5,075,000,000 გირ. სტერლინგი. ამ ფულიდან 1 მილიარდი 740 მილ. გ. რ. სტერლინგი ავანსათ მიეცა მოკავშირეებს. 200 მილიონი სახელმწიფოებს და 21 მილ. ინდოეთს. გარდა ამისა მთავრობის განკარგულებაში იქნება 240 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადასახადებიდან შემოსული, 425 მილ. გირ სტერლინგი შემოვა სხვადასხვა შემონახულ საქონლის ლიკვიდაციით. დიდი ნაწილი სახელმწიფოს ვალების ინგლისშივე დაიხარჯა. ინგლისური საქონელი მოკავშირეთა ფულით იქნა შესყიდული და ამგვარათ, ინგლისს შეძლება ეძლეოდა მოგებით გაეყიდა თავისი ნაწარმოები.

**ცენტრალური ევროპის მდგომარეობა.** თემთა პალატაში ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მთავრობა ანგარიშს უწევს ევროპაში შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობას და ის უმაღლეს საბჭოსთან ერთად იღებს ზომებს, რომ შემსუბუქდეს არსებული მდგომარეობა. მთავრობის აზრით, მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო სესხის საშუალებით. ამ მხრივ დიდი როლი შეუძლიან ითამაშოს ამერიკას. ფართო მასშტაბით მოწყობილ საქონლის გაცვლა-გამოცვლა დიდათ შეუწყობს ხელს კრიზისის შენელებას და მთავრობა მიიღებს ამ მხრივ ყოველივე ზომებს. მდგომარეობა ისეთია, რომ არც ერთი საშუალება არ უნდა დავტოვოთ, რომელიც კი ხელს შეუწყობს კრიზისის შენელებასო.

# ქალაქის საბჭო

22 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. წარსული სხდომის ჟურნალის დამტკიცების შემდეგ საბჭო გადადის დღის წესრიგის განხილვაზე.

1920 წლის სატრაქტირო გადასახადის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი შოთაძე. გასულ წლებში სატრაქტირო გადასახადების უმთავრესი ნაწილი შემოსულა იმ ნაწარმოებთაგან, რომელნიც მაგარი სასმელებით ვაჭრობენ. 1919 წლის საერთო გადასახადიდან 3,898,000 მან. მაგარი სასმელებით მოვაჭრე წარმოებათაგან შემოვიდა 3,509 658 მან. ხოლო დანარჩენებიდან 326 939 მ.ნ. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რამ გამოიწვია რესტორანებისა და სასადილოების გაძვირება. ამის მიხედვით მომხსენებელი ასახელებს ომის გამოცხადების შემდეგ ღვინით ვაჭრობის აკრძალვას და შემდეგ ასეთი ნებართვის მხოლოდ რესტორანებისათვის მიცემას.

აღნიშნავს აგრეთვე თუ როგორ იზრდებოდა სატრაქტირო გადასახადის საერთო ჯამი. 1907—1908 წლიდან 1919 წლამდე საერთო ჯამი 68,865 მანეთიდან 3,898,000 მანეთამდე გაზრდილა, რაც მომხსენებლის აზრით გამოწვეულია ვაჭრობის გაძლიერებით და ფულის კურსის დაცემით. 1920 წლისთვის, ამბობს მომხსენებელი, გამგეობა ფიქრობს გადასახადი გაადიდოს 14,085,000 მანეთამდის.

საბჭომ ხანგრძლივი კამათის შემდეგ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომისია, რომელსაც გადასცა ეს საკითხი. კომისია გამოარკვევს და შეისწავლის, თუ არის გამორჩენილი სავაჭროები. მანვე უნდა დაჰყოს შემოსავლის წყარო და ამის მიხედვით შეამციროს გადასახადი პირველ კატეგორიაზე, სადაც ღარიბები სადილობენ 20 პროცენტზე დაბლა და მეორე კატეგორიაზე, სადაც მდიდრები სადილობენ, 20 პროცენტზე აწეული.

სასკოლო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტის გამო სკოლების მართველობის სასურველ ორგანიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს კონიევი: მას მოჰყავს კომისიის მოხსენების შინაარსი და გამგეობის სახელით არ ეთანხმება, რომ გაუქმებულ იქნას სასწავლო საბჭო და მოითხოვს კომიტეტის წევრთა რიცხვის შემცირებას.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება, რომ სასკოლო კომისია უნდა დარჩეს იმავე ფუნქციებით, რაც დღემდე ქონდა. მხოლოდ მთელი პასუხის მგებლობა და აღმასრულებელი მოვალეობა გამგეობას დაეკისროს.

დასასრულ საბჭომ დაადგინა ხუთ-ხუთი ათასი მანეთი გადასდოს ვასილი ბარნოვისა და ნინა ჩხეიძის ოცდა ათი წლის საზოგადო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

# ერობათა აგრონომების 1 ყრილობა

ერობათა აგრონომების 1 ყრილობა მოწვეული იყო ერობათა კავშირის თაოსნობით ქ. თფილისში. ის გახსნა ერ.-კავშირის თავმჯდომარემ ბ. გრ. ლორთქიფანიძემ 13 დეკემბერს. მისასალმებელ სიტყვაში მან აღნიშნა ის დიადი როლი, რომელიც დაკისრებული აქვს ერობის აგრონომებს რესპუბლიკის ეკონომიურ აღორძინების სფეროში და უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა. ყრილობას დაესწრო 25 კაცი, ყრილობაზე არ ყოფილა: ლეჩხუმიდან, თიანეთიდან და ახალ ქალაქიდან, როგორც გამოირკვა, ხსენებულ მაზრებს აგრონომიული განყოფილება ჯერ არც კი მოუწყვიათ. ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი: ბ. ბ. ქურდიანი, ფალავანდიშვილი და სამადაშვილი. მიწათ-მოქმედების სამინისტროდან ყრილობას ესწრებოდენ და საჭირო რჩევა-განმარტებას იძლეოდენ: ბ. ბ. გედევანიშვილი, ლომოური და გ. რცხილაძე. ყრილობის მსჯელობა თათბირმა ექვს დღეს გასტანა. პირველად ყრილობამ მოისმინა მაზრებიდან მოხსენებები და გაიცნო, თუ როგორ არის ერობებთან ეკონომიური აღორძინების საქმე დაყენებული. როგორც გამოირკვა საწუხარ-სავალალოთ სასოფლო მეურნეობა, სახელმწიფოს კეთილდღეობის ფუძე სათანადოთ ჯერ თითქმის არსად არ არის რიგიანათ დაყენებული. ზოგ ერობას აგრონომიული დახმარება გერად მიაჩნია და არც კი აქცევს მას ყურადღებას. ზოგან კი სულითა და გულით მოწადინებული არიან, მაგრამ ვერ უშოვიათ შესაფერი კაცები. აშკარა ხდება, თუ რამდენზე ჩამორჩენილი ვართ ამ მხრივ და თუ რა მიზნობრივ იქნება ჩვენში სამეურნეო-ტეხნიკური სასწავლებლების გახსნა, ბევრი იმასაც კი საყვედურობდა, რომ ნასწავლი მეურნენი სოფლებს გაურბიან, ქალაქს მიაშურებს და სპეციალური საქმის მაგიერ სხვა ხელობა არჩიესო... შემდეგ ყრილობამ მოისმინა სხვადასხვა ხასიათის მოხსენებები.

მესაქონლეობის შესახებ მშვენიერი მოხსენებით მიმართა კოლეგებს ამ დარგის ცნობილმა მხცოვანმა მოღვაწემ ბ. ყვრიშვილმა. მისი მოხსენებიდან ჩანს, რომ ჩვენში ეკონომიური სიმტკიცის ბურჯი მესაქონლეობა თანდათან უკან მიდის: კლებულობს გამრავლება, მძვინვარებს ჭირი, მასთან ბრძოლა კი შეფერხებულია—ხალხი საქონლის შრატით ექიმობას მიეჩვია, შრატისთვის არაფერს ზოგავს, შრატის სამზადებელ, სადგურს კი კატის კნუტივით ასეირნებენ... ვერ არის კარგათ ვერც კარანტინების საქმე, ჯიშის გაუმჯობესობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. პატივცემული მომხსენებელი ყრილობას მიუთითებს სხვადასხვა ზომებზე.

სამეურნეო დახმარების ორგანიზაციის მოწყობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბ-ნი სამადაშვილი. სამინისტროებთან დაკავშირებულება თუ როგორი და რა სახის უნდა იყოს, განმარტავს ბ-ნი ლომოური.



# პორუჩიკი ნესტორ ალექსის ძე მიმინაშვილი

19 დეკემბერი, 1918 წ.

რევოლიუციისა და დემოკრატიის მუხანათ მტრების მიერ დანთებულმა ომის ცეცხლმა არა ერთი მსხვერპლი შეიწირა...

ნესტორ ალექსის ძე მიმინაშვილი, აი ერთი იმ გმირთაგანი, რომელთაც არ დაიხიეს ბრძოლის წინაშე და თავიანთი სიცოცხლით, სისხლით ჩაუყარეს საფუძველი ერის თავისუფლებას.

ნესტორ ჯერ კიდევ ახალგაზრდა 21 წლის სიცოცხლით სავსე მებრძოლი იყო.

ის სწავლობდა ფოთის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ დუშეთის პრაპორშჩიკების სკოლაში; იყო სარაყამიშის ბრძოლის ველზე, ბათუმში აფიცერთა რაზმში, ჯუღელის რაზმში, ხოლო ბოლოს სახალხო გვარდიის ერთ თვალსაჩინო ოფიცერთაგანი იყო.

გაივლის წლები, გაივლის საუკუნეები, მაგრამ საქართველოს დემოკრატია, ქართველი ერი არ დაივიწყებს თავის უკვდავ შვილებს. მშვიდობით!..

ამხ ნ გი.

აგრონომთა ცენტრის შექმნის საჭიროებას იცავს ბ-ნი ქურდიანი. მცენარეთა მავნეებთან საერთო ბრძოლის გაჩაღებას გვირჩევს ბ ნი ჩხატარაიშვილი. ბ-ნი გერუსი (რუსულად) გვირჩევს აგილოთ სესხი და მით შევიძინოთ სამეურნეო იარაღი—მანქანები. ბ ნი წულაძე ეხება მეფუტკრეობას და მისი წინადადების თანახმად ყრილობა ადგენს: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე და გამოაცემინოს მთავრობას ბრძანება, რომლითაც აიკრძალება თაფლის გულისათვის ფუტკრების განადგურება-გაქრობა. იგივე წულაძე აკეთებს მეორე ვრცელ მოხსენებას საზოგადო ხასიათისას და ჩამოთვლის სხვადასხვა ზომებს მეურნეობის აღორძინების ხელის შემწყობს. ყრილობა გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ არ არსებობს სამეურნეო ჟურნალი, ურომლისოდაც დიდი ნაკლია. ყრილობა გულდასმით არჩევს მრავალ საკითხებს, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ მეურნეობასთან და მოუწოდებს დამსწრე ამხანაგებს მეურნეთა მომავალ ყრილობაზე 25 იანვარს, მომზადებული შეხვდენ. ყრილობას შესაფერი გრძნობიერი სიტყვით ხურავს ერ.-კავშირის კომიტეტის წევრი ბ. ის. სტურუა. ყრილობამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა მთავრობას და მეურნეობის ცნობილ მოღვაწეებს ილია წინამძღვრიშვილს და კ. ამირეჯიბს.

მეტეორი.

# დამფუძნებელი კრების კომისიებში

საბიუჯეტო საფინანსო კომისია იხილავს დეკრეტის პროექტს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის ორი მილიონი მ. გადადების შესახებ.

გზათა და საბიუჯეტო კომისიები იხილავენ შემდეგ დეკრეტების პროექტს: 1) გზატკეცილების შესანახათ 16 138,430 მანეთის გადადების შესახებ; 2) გზატკეცილების სამმართველოს მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ 1,055,494 მ. გადადების შესახებ; 3) რკინის გზაზე—სამხედრო წესების ერთი თვით 1919 წ დეკემბრის 18-დან 1920 წლის იანვრის 18-მდე განგრძობის შესახებ.

ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის და საბიუჯეტო საფინანსო კომისიებში ირჩევა შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა ახალციხე ახალქალაქის მაზრების ადმინისტრაცია-მილიციის შესანახათ ამა წლის სექტემბრის 1-დან 1920 წ. თებერვლის 1-დე 2,158,075 მ. გადადების შესახებ.

# ცხინვალის რაიონში

(დღიურები).

4 დეკემბერი.

ცივი, სუსხიანი დილა იყო. მზის მკრთალი უს ცოცხლო სხივები თოვლით მოსილ კავკასიონის მიმზიდველ ხეობებს და მწვერვალებს დაჰყურებდა. მინდორ ველებს, შორეულ მთის ფერდოებს, აქა-იქ გაბნეულ პატარ-პატარა სოფლებს ლიახვის მკაცრი ნიავი ეთამაშებოდა. ირგვლივ სიწყნარე იყო. დადუმებული სოფლები, ახლო დღეების გამოურკვეველ ბუნდოვან მღელვარების შემდეგ, ხალხი დამშვიდებულიყო და მშვიდობიან შრომას შესდგომოდა. განაპირა მხარეებში ნელი ნაბიჯით წინ მიიწევდა გვარდიელთა და ჯარის კაცთა რაზმები.

ცხენოსანთა დივიზიონის ნაწილი კი მთავარ გზა ტკეცილით მიემართებოდა, მიუხედავათ ძლიერი ყინვისა, გზა მაინც ძალზე ატალახებული იყო.

ჩვენ გავიარეთ სოფლები: კარალეთი, ტყვიავი, ტირძნისი და ცხინვალს ვუახლოვდებოდით.

განიარაღება აღნიშნულ სოფლების მესამე დღეა, რაც ხდება.

განსაკუთრებით კარალეთის საზოგადოება, სადაც 82 პროცენტი არაქართველები ცხოვრობენ, ყოველ დროის უკმაყოფილების ბუდეა. ეს საზოგადოება დიდია, მდიდარია და ხალხიც უზრუნველყოფილია მცირე გამონაკლისის გარდა.

ბევრ სოფლებში განიარაღება საძნელო ხდება. ძალზე ეზარებათ იარაღის გადაცემა და ეს აიხსნება იმ მოვლენით, რომ პროვოკატორები მაინც მუშაობენ და ავრცელებენ ცრუ ხმებს რესპუბლიკის ჯარისა და გვარდიის წინააღმდეგ.

11 საათზე უკვე ცხინვალში ვიყავით. ცხინვალი გამოცვლილა, სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს. ცხენოსანთა, ქვეითი ჯარის, გვარდიის მოძრაობა, გუნდ გუნდათ ხალხის თავყრილობაა აქა იქ, ხმაურობა და საქმიანობა ერთი მეორეში არეულიყო.

პატარა და გარეგნულათ ლამაზი ცხინვალი სამხედრო ბანაკს მოგაგონებდა.

ადგილობრივი ხალხის სახედან ბევრი რამის ამოკითხვა შეიძლებოდა: ზოგი ილიმებოდა, ზოგი მხიარულათ იყო, ზოგი დაღვრემილათ.

ამ რამოდენიმე დღის წინეთ ცხინვალში შიში იყო გამეფებული, ხალხი სასოწარკვეთილებას მისცემოდა. ირგვლივ უკმაყოფილო ელემენტებით გარშემორტყმული, მტრულათ განწყობილი მთებით დაშინებული ცხინვალი დაფიქრებული იყო. არავინ იცოდა რა მოხდებოდა, რა იქნებოდა. ყველა თავისთავზე ფიქრობდა, გასაქცევათ ემზადებოდა და ყოველგვარი საქმიანობა ჩამკვდარიყო, სიცოცხლის მაჯისცემა მოდუნებულიყო.

— აკი, არ გითხარი, რომ ჩვენი საქმე სულ წასული არ ყოფილა.

— ეხლა ჩვენს უბედურებას, შიშს, ხომ მაინც მოეღება ბოლო.

— შეიძლება ახლა მშვიდობიანათ ვიცხოვროთ. ამბობდა აქა-იქ თავშეყრილი ხალხი.

ცხინვალი დიდი ხანია გაურკვეველ ნერვიანობის ცენტრათ იქცა. ცხინვალში თავი მოიყარა პოლიტიკურ ცხოვრების წინააღმდეგობათა კვანძმა, ცხინვალი ჩვენი ქვეყნის საყურადღებო მხარე შეიქნა და იგი ქართლის მშვიდობიანობის საფრთხე გახდა.

გასულ წელს ცხინვალში სისხლი დაიღვარა. საუკეთესო ამხანაგები ლიახვს პირათ დაეცენ უგუნურ ბრბოსაგან გულ-დახვრეტილნი.

ცხინვალი გახდა თავისუფლების მესაფლავეთ და მას შემდეგ ცხინვალს მოსვენება არ უნახავს. მშვიდობიანობა არ უგრძვნია. რაშია საქმე? ვინ არის დამნაშავე?.. ჯგრამ ამაზე შემდეგ.

2 საათზე მთა ოსეთიდან (ჯავის რაიონი) გამოცხადდა რამოდენიმე პირისაგან შემდგარი დელეგაცია...

დელეგაციამ შემდეგი გადმოგვცა: მთებში ამ ბოლო ხანებში საწყნარე ვარდება. ხალხი მხოლოდ დაშინებულია ჯარების მოძრაობით. მთავარი დამნაშავეები, შეიარაღებული პირები, ახალგაზრდები როკისაკენ (ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარია) მიდიან. წინეთ იმართებოდა შეიარაღებული კრებები და ემზადებოდენ. ეხლა ხალხის მასიური ყრილობებია. ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგენ. ჯერ გამორკვეული არაა საბოლოოთ ხალხის პოზიცია. ხალხში გაუგებრობაა. ამას შეუძლია სამწუხარო შედეგი გამოიწვიოს. იარაღს დაყრიან, მხოლოდ ჯარის შესვლის მოსურნენი არ არიან. მდგომარეობა ცუდი იყო და არის. საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაცია ვერაფერს აკეთებს მთელ სამხრეთ ოსეთში. ჯავაში ადმინისტრაცია და მილიცია გულზე ხელდაკრეფილია და სდუმს. სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია გაქრა და მისი წევრები არალეგალურათ ცხოვრობენ. სოფლებში გამეფებულია ტერორი და საერთოდ სამხედრო დიქტატურა. ხალხმა არაფერი იცის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. მან იცის მხოლოდ ცუდი ამბები საქართველოს შესახებ, რომლებსაც თავიანთი მეთაურები აწვდიდენ და ხალხიც დაჯერებული დიდიხანია სამარ განწყობილებაზეა. ქართლის ამბების გამო მოქმედებაც დაიწყო აქა-იქ და რომ ზემო ქართლში ბოლშევიკური მოძრაობის [illegible] ამბავი არ გაეგოთ, მაშინ უფრო დიდი და საშინელი ამბები მოხდებოდა... ამ ჟამათ მთელი ხალხის შიში და მღელვარება გამოწვეულია [illegible] —ზნებიან—გასაგებათ მოდიანო ჩვენ გვინდა [illegible].

დელეგაციის ლაპარაკი, კილო, შიში, მართლაც გამოხატავდა დიდ გაუგებრობას, რომელიც შეუქმნია ბნელ ძალებს მთა-ოსეთში და რომელიც მოსდებია მთელ ოსურ მოსახლეობას. მდგომარეობა იყო დამაფიქრებელი...

საღამოს 6 საათზე. ცხინვალში რაზმების უფროსთან გამოცხადდენ ოსეთის ნაციონალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რომლებმაც კითხვა ასე დააყენეს:

— შესაძლებელია თუ არა, რომ ჯარები არ შევიდეს ჯავისა, როკის რაიონში და ისე მოხდეს განიარაღება? ან რაში გამოიხატება გვარდიისა და ჯარის მოქმედება? შესაძლებელია თუ არა საკითხის მშვიდობიანათ გადაწყვეტა?..

პრეზიდიუმის წევრების ასეთი განცხადება თავის-თავათ ცხადია მოწმობდა იმას, რომ თვით ხელმძღვანელი წრეც გამოურკვეველი იყო.

კითხვასაც ბუნდოვანად აყენებდენ.

რაზმის უფროსმა გ. ხიმშიაშვილმა მათ მოკლეთ შემდეგი პასუხი მისცა: კონსტიტუციის დებულებათა გამორკვევა ჩემს უფლებაში არ შედის.. მე როგორც საქართველოს რესპუბლიკის ჯარებისა და გვარდიის უფროსს განსაზღვრული ინსტრუქცია მაქვს რესპუბლიკის მთავრობისაგან და ვინც სახელმწიფოს კანონების წინააღმდეგ გაილაშქრებს, მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული. ჩვენ ქართლის ყოველი კუთხე შემოვიარეთ და ეხლა აქ შემოვედით, როგორც ნაწილში საქართველოს რესპუბლიკისა. ჩვენი ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს მთავრობის ბრძანებისაგან, შემდეგია: 1) ყოველგვარი იარაღის ჩაბარება, 2) მეთაურების და ყაჩაღების გაცემა. 3) ჯარში გაწვეულთა გამოცხადება სამხედრო ბეგარის მოსახდელად, 4) გადასახადის გაღება და 5) საერთო წესრიგის დაცვა და სახელმწიფოს კანონების ასრულება.

ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია აცნობოს ზემოაღნიშნული ხალხს და მასთან ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის გვარდია და ჯარი წესრიგით და მშვიდობიანად გაივლის თავისი მოვალეობის ასასრულებლად და იგი ნებას არ მისცემს თავს თავს მშვიდობიან ხალხს რაიმე ზიანი მიაყენოს. ჩვენ მოვედით ხალხის საკეთილდღეოთ, რომ გავსწმინდოთ სოფლები მავნე ელემენტებისაგან და ხალხი დავუბრუნოთ მშვიდობიან ცხოვრებას.

ლაპარაკი აღარ გაგრძელებულა. დელეგაციის პრეზიდიუმმა პასუხი მიიღო და ღამით წავიდა ჯავისაკენ, რომ ყოველივე დაწვრილებით გადაეცა ხალხისათვის. ობოლი მგზავრი.

# გვარდიის დღე

პროვინციაში.

**სიღნაღი.** 12 დეკემბერს, სიღნაღი დილიდგანვე აჭრელდა ბაირაღებით და ხალიჩებით. თერთმეტ საათზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი თავისუფლების მოედანზე, სადაც მოვიდენ გვარდიელები, მწყობრად დაწყობილი მუშათა პროფესიონალური კავშირის წევრები და მოწაფენი. პარადი მიიღეს შტაბის, ერობის და ქალაქის წარმომადგენლებმა. პარადის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომლის შემდეგ დაიწყო საერთო მხიარულება. გათავდა თუ არა მიტინგი სიღნაღში, მაშინათვე ავტომობილით გაემგზავრენ გვარდიელები და ერობის გამგეობის წევრები სოფლად მიტინგების გასამართად.

საღამოს მოწყობილ იქნა გვარდიის საღამო სკოლის დარბაზში. უნდა აღვნიშნოთ, რომ სიღნაღში ასეთი დიდი მიტინგი 1917 წლიდან არ ყოფილა. ხალხი მეტად თანაგრძნობით შეხვდა გვარდიის დღეს. ბოგანო.

— —

**თელავი.** 11 დეკემბერს უკვე სადღესასწაულო ელფერი ედო ქ. თელავს. ყოველი მხრიდან ამოსულნი სახალხო გვარდიელები დადიოდენ ქუჩებში კახური სიმღერებით, დაფაზურნით და ამით ხალხს აუწყებდენ 12 დეკემბრის დღესასწაულის მოახლოვებას. ქუჩებში დიდი მუშაობაა: რთავენ სადღესასწაულოდ ქუჩებს, დაწესებულებებს, სახლებს. 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ხუთასზედ მეტი შეიარაღებული გვარდიელები, რომელნიც სულ გლეხკაცობას შეადგენდენ მწყობრათ დარაზმულნი გაემართენ მაწანწარის ქუჩით.

პარადის მიღება დანიშნული იყო 12 საათზე, მოედანზედ ბანკის შენობის წინ. აქ გვარდიას გვერდში უდგება მეექვსე ბატალიონის ჯარი თავისი უფროსებით. კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჯარის კაცის და გვარდიელის გადახვევნა და კოცნა, რომლებით ეფიცებიან ერთმანეთს, რომ ერთად დაიცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას. პარადს ღებულობს თილავის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბი, მუშათა საბჭოს თავმჯდომარე ს. მაჭავარიანი უძღვნის გვარდიას საგანგებოთ ამის თვის გამზადებულს დროშას და შემდეგი სიტყვებით მიმართავს მათ: სახალხო გვარდიელებო, გმირებო რესპუბლიკისა, მუშათა საბჭომ გიძღვნათ ეს დროშა, მრავალი შავი დღის მნახველი, დროშა მუშების წმინდა სისხლში შეღებილი. იმედია სახალხო, გვარდიელებო, ამ დროშას ღირსეულათატარებთ და წმინდათ შეასრულებთ იმ მძიმე მოვალეობას, რომელიც თქვენ ისტორიამ გაკისრათ. გვარდიელებმა შეჰფიცეს, რომ ისინი არ დაიშურებენ თავიანთ სიცოცხლეს და პირნათლათ შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას. პარადის შემდეგ გაიმართა მიტინგი. ილაპარაკეს დამფუძნებელ კრების წევრმა ს. მაჭავარიანმა, ტერ-სტეფანოვმა და ყველა პარტიების წარმომადგენლებმა. მიტინგი 3 საათზე გათავდა. გვარდია და ჯარი გაემართა სამხედრო მუსიკით და სიმღერებით თავ-თავიანთ ადგილას.

მეთვალყურე.

## რკინის გზაზე

არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში არ ხდება იმდენი მარცხი და უბედური შემთხვევები, რამდენიც რკინის გზებზე. ამისათვის რკინის გზის მოსამსახურეებს მართებს დიდი სიფრთხილე, სიფხიზლე, სიმტკიცე, წინდახედულება და კეთილ სინდისიერება სამსახურში, რადგანაც სულ უბრალო შეცდომას შეუძლიან გამოიწვიოს ასობით მსხვერპლი უდანაშაულო ადამიანებისა, აგრეთვე მილიონობით ზარალი ხაზინისა.

12-ს ამ თვეს მატარებელ № 8 მივემგზავრებოდი ადერბეიჯანისკენ. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სადგურ სალოღლოში საბაჟო მორჩა თავის ვალდებულების ასრულებას და მატარებელი საქართველოს უნდა გასცილებოდა. სადგურ სალოღლოში სადგურის მორიგემ ბ. დოლაბერიძემ მიიღო მეზობელ სადგურ ფოილოსაგან დეპეშა „გადასარბენი გზა თავისუფალია და მატარებელი შეგიძლიათ გამოუშვათო“. მისცეს მესამე ზარი და მატარებელიც გადაეშვა თავდაღმართში ფოილოსაკენ. არ გასულა 5—6 წამი, რომ მორიგემ მიიღო მეორე დეპეშა: „უშველეთ, მატარებელი დაიჭირეთ, არ გამოუშვათ, გზა თავისუფალი არ არის, მტკვრის ხიდთან ხუთმეტი ვაგონი დარჩენილა წინ მოსული მატარებლიდანო“. მკითხველს შეუძლიან წარმოადგინოს მდგომარეობა განწირულ მატარებლისა, რომელიც სავსე მძნარი მგზავრებით 1500—2000 კაცამდე შუაღამისას მიექანება დაღმართისაკენ, სადაც არის დაუძღვრება გზაში უპატრონოდ დარჩენილ ვაგონებს და რა შედეგი მოყვებოდა ამას ადვილი წარმოსადგენია. სადგურიდან უკვე წასული მატარებლის გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. და სწორეთ ამ დროს თავზე ქუდ მოგლეჯილი სადგურის მორიგე, ბ. დოლაბერიძე ხარბის რაც ძალი და ღონე აქვს ნავთსადენის ტელეფონთან, რომელიც ნახევარი ვერსით დაშორებული არის სადგურიდან და რომელიც შეერთებულია ტელეფონითვე საზღვრის საყარაულოსთან მტკვრის გამოღმა. აღელვებული მივარდება ტელეფონს და გადასცემს საყარაულოს, რათა დაუყონებლივ გააჩერონ მიმავალი მატარებელი და იქით არ გაუშვან, რადგანაც გზა შეკრულიაო. ყველაფერი თავის დროზე ასრულებულია. მატარებელი თოფების „ზალპებით“ გააჩერეს ყარაულ ჯარისკაცებმა გზა იწმინდება და მატარებელი, ორი საათის გაჩერების შემდეგ, მშვიდობიანად ჩადის სადგურ ფოილოში. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც მონაწილეობას ღებულობდენ ამ საქმეში, რომელთა მეცადინეობით ვინ იცის რამდენი ადამიანი გადაურჩა სიკვდილს ან დასახიჩრებას და სახელმწიფო ხაზინა მილიონობით ზარალს. მხოლოდ ყველაზე მეტი გმირობა კი გამოიჩინა ბ. დოლაბერიძემ, რომლის მოქმედება აღსანიშნავი და მისაბაძია.

კარიუხი.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 დეკ. შესდგა ს. ს. დ. მ. პ მესამე რაიონული კოლექტივის სხდომა.

გვარდიის დღის 12 დეკემბრის საორგანიზაციო კომისიის მოხსენებით, გვარდიის დღემ ავლაბარში ბრწყინვალედ ჩაიარა. კოლექტივმა სიამოვნებით მოისმინა კომისიის მოხსენება და დაადგინა, რომ მომავალ კრებაზედ კომისიამ წარმოადგინოს მთელი ანგარიშები. სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ კოლექტივი აღნიშნავს: ვინაიდან მსმენელები უკვე შეეჩვიენ ლექციებზე სიარულს და მასთან უნივერსიტეტის შენობა მეტად უვარგისი მდგომარეობაშია, როგორც განათებით, ისე გათბობით, და ამავე დროს ცენტრალური განყოფილების გამგეობა ნაკლებათ ზრუნავს ამის შესახებ, მოწვეულ იქნეს 22 დეკემბერს შეერთებული სხდომა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობისა, რომ გამოძებნილ იქნეს ადგილობრივად მატერიალური წყაროები, უნივერსიტეტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სასადილოს გახსნის შესახებ კოლექტივმა დაადგინა, მოწვეულ იქნეს ფართო სხდომა ავლაბრის რაიონის დემოკრატიულ ორგანიზაციებისა, მოხსენდეს შრომის განყოფილების გამგეს ამხ. ათაბეგოვ-ტემასს იაფ-ფასიან სასადილოს ძალზე საჭიროება, რათა მის გასახსნელად მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები. ეცნოს აგრეთვე შრომის განყოფილების გამგეს, რომ შესაფერი შენობა სასადილოსთვის გამონახული არის.

ბიბლიოთეკის შესახებ: მუშათა კლუბის გამგეობას მიეცეს წინადადება გადაწყვეტილი საკითხი ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ მოყვანილ იქნეს სისრულეში, და უნივერსიტეტის შენობაში ამ მოკლე ხანში გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ბინების საკითხის შესახებ კოლექტივმა იქონია მსჯელობა, იმ არასასურველ მდგომარეობის გამო, რომელიც შექმნეს სახლის პატრონებმა ბინების ქირის მომატების შესახებ! მათ ისარგებლეს განზრახული კანონის გამოცემით და წინდაწინვე ადიდებენ ბინების ფასს, თითქოს ასეთი გადიდებული ფასები დაედოს ბინებზე ქალაქის თვით მართველობას და დამფუძნებელ კრებას. ეს მოვლენა ჰქმნის ხალხში მეტად დიდ უკმაყოფილებას, ამიტომ კოლექტივი ამ საკითხის გადატანას თფილისის კომიტეტში ანდობს მ. წიგწივაძეს, რათა თფილისის კომიტეტმა ქალაქის თვით მართველობაში გაარკვიოს ბინების საკითხი რომ ამ უკანასკნელმა პრესის საშუალებით განმარტება მისცეს მცხოვრებლებს. კოლექტივი აგრეთვე სასურველად სცნობს დრო გამოშვებით, ამათუ იმ საკითხზე ქალაქის თვითმართველობაში ჩვენ მიერ წარგზავნილებმა საჯარო მოხსენებები წაიკითხონ, ამით ერთნაირი კავშირი იქნება ამრჩევლებსა და არჩეულებ შორის.

საჭიროა ამ გზას დაადგეს ყველა დემოკრატიული ორგანიზაციები, ხალხთან დაახლოვების მიზნისათვის.

სხდომის დასასრულ კოლექტივმა მოისმინა მცირე მოხსენებანი და გადასწყვიტა კოლექტივის შემდეგი სხდომისათვის მოწვეულ იქნეს ავლაბრის რაიონის მუშათა საწარმოვო დარგებიდან წარმომადგენლები: კარლინსკის ქარხნიდან, ხოშტარიას „ზავოდიდან“, არამიანცის სავათმყოფოდან, „მირიდან“, „სლონიდან“ სახალხო გვარდიიდან, კუსტარნიკებიდან, „ობოზნაია კომანდიდან“, I სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან, ავლაბრის რაიონის მკერავ ქალთა პროფ. კავშირიდან.

ფერხვი.

## მუშათა შორის

საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა შემნახველ-დამხმარე კასის შესახებ.

დამფუძნებელ კრებაში შესულა პროექტი დეკრეტისა საქართველოს სახაზინო რკ. გზებზე მუშა-მოსამსახურეთათვის ყოფილი რუსეთის რკ. გზებზე არსებულ შემნახველ-დამხმარე კასების მოქმედების განახლების შესახებ. ამ კასების ისტორია ამნაირია: 1894 წ. 1-ლ იანვრიდან რუსეთის სახაზინო რკინის გზებზე მუშა მოსამსახურეთათვის დაარსებულა ცალკე საპენსიო კასა და ამ კასის დებულებით მოსამსახურეებს უკავებდენ ჯამაგირიდან 6 პროცენტს; ხაზინა თავისი მხრით სდებდა ამაზე მისამატებლათ კიდევ ექვს ნახევარ პროცენტს და მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვისას მას უბრუნებდენ მხოლოდ თავის საკუთარ დაგროვილ ფულს და ხაზინიდან გადადებულიდან კი იმას მიხედვით, თუ რამდენი ნამსახური ჰქონდა მოსამსახურეს. 1899 წ. საპენსიო კასისთვის ნება მიეციათ მოსამსახურეთა სიცოცხლის დაზღვევისა (სტრახოვანიე) 1912 წ. საპენსიო კასას დაევალა რკ. გზებზე უბედურ შემთხვევათა გამო დაზარალებულ მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საქმეების წარმოება და დახმარების მიცემა. 1916 წ. 9 სექტემბერს უმაღლესათ მიღებულ დებულება, რომლის თანახმად 1917 წ. 1 იანვრიდან საპენსიო კასები შეიცვალა შემნახველ-დამხმარე კასებით რკ. გზებზე და იქ ბრძანებაში № 486 რამოდენიმე ცვლილებაც არის შეტანილი მოსამსახურეთა სასარგებლოთ. მაგალითად: სამსახურიდან დათხოვისას მოსამსახურეს მიეცემოდა მთელი ფული საკუთარიც და ხაზინიდან გადადებულიც. ამ მოხსენებულ ფულს ემატებოდა კიდევ სხვადასხვა წვრილმანი სახით რკინის გზაზე შემოსული ფული და სხვა. დებულების ძალით მოსამსახურეს უფლება ეძლეოდა ორი თვის ჯამაგირის რაოდენობით სესხათ გაეტანა მოხსენებულ კასიდან ფული თავისი აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც ის შემდეგ ნაწილ-ნაწილათ გადაიხდიდა. ყველა კასის არსებობიდან გამომდინარე საქმეების საწარმოებლათ იყო ერთი ცენტრალური კომიტეტი პეტროგრადში და ადგილობრივათ კიდევ ყველა რკინის გზებზე ცალ-ცალკე კომიტეტები კომიტეტში სამი იყო ზევიდან დანიშნული და ორი მოსამსახურეებიდან არჩეული. დებულების ძალით მთელი თავისუფალი თანხა რკ. გზებიდან უნდა შენახულიყო ცენტრში, და ასე 1917 წ. დამლევს პეტროგრადში 200 მილიონამდე თანხა მოგროვილა მთავარ კომიტეტის განკარგულებაში. ამ თანხიდან ამიერკავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთაც ეკუთვნოდათ თავისი წილი და 1918 წ. 26 მაისისათვის, ე. ი. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს ერგებოდათ 7 მილიონამდე.

1918 წ. 1 ივნისისათვის საქართველოს სახაზინო რკ. გზაზე ირიცხებოდა ამ თანხიდან მხოლოდ 523,552 მან. ეს თანხა, რასაკვირველია, სრულიად არ ყოფნიდა საკმარისი ყველა მუშა მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ მით უფრო, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას და ისეც ბევრი მოსამსახურეები წავიდნენ რკ. გზიდან, რომლებიც მოითხოვდნენ თავიანთ ფულს, მაგრამ ჩვენი რკ. გზის მართველობა იძულებული იყო მიეთითებია პეტროგრადზე, საიდანაც, რასაკვირველია, არაფერი არ მოდიოდა. 1919 წ 22 თებერვალს გზათა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელს განკარგულება გაუცია, რომ 1919 წ. 26 მაისამდე ანგარიში არ მისცემოდა არავის. ამან, რასაკვირველია, დიდი გაჭირვება და უკმაყოფილება დაბადა მუშა მოსამსახურეებში. ბოლოს და ბოლოს აშკარა შეიქნა, რომ ჩვენი გზათა უწყება პეტროგრადში ჩარჩენილ ფულს ვერ მიიღებდა და ამიტომ მან გზათა დეპარტამენტის დირექტორმა აღძრა შუამდგომლობა ჩვენი მთავრობის წინაშე, რომ გადადებულიყო საჭირო თანხა 4,200,000 მ. მუშა მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ ზემოდ მოხსენებულ დებულების თანახმათ. იმავე შუამდგომლობაში მოთხოვილია, რომ ჩვენს რკ. გზ მომავალშიაც იმოქმედოს მოხსენებულმა კასის დებულებამ საქართველოს სახაზინო რკ გზის მუშა მოსამსახურეებისათვის. დეკრეტის პროექტი გადაცემულია უკვე განსახილველათ დამფუძნებელი კრების საგზაო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებში, რომლებიც უეჭველია, მოიწონებენ მას და თავისი დასტურით წარუდგენენ დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლათ. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება თავის თავათ ცხადია დიდ დახმარებას გაუწევს დღეს დღეობით უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ მუშა-მოსამსახურეებს და იმედია იგინიც ამით სათანადოთ ისარგებლებენ.

დემო.

## პროვინცია

სოფელი ალამბარი (ბათუმის ოლქი). ეს სოფელი (ქობულეთის ნაწილში) სხვა სოფლებზედ ნაკლებათ არ ითვლებოდა, მაგრამ ომმა ვის არ მიაყენა ზიანი, რომ ჩვენ გადავრჩენილიყავით. წინათ ეს სოფ. სხვა სოფლებზედ მოწინავე სოფელი იყო, გვქონდა სკოლა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებული, გვაქვს კოოპერატივი, რომელმაც მიუხედავათ ყოველივე გაჭირვებისა მაინც შეინარჩუნა თავის არსებობა და დღესაც დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას. მხოლოდ არა გვაქვს სკოლა, რომელიც აგერ ორი წელიწადი შესრულდება გაუქმებულია და სწავლა შეწყვეტილი. ოსმალეთის დროს, თავის თავათ ცხადია, ვინ ასწავლიდა, მაგრამ ოსმალები გავიდოდა იმას ჰოვეწრებოდით და თუ ჩვენი სკოლა მაშინვე არ დაიწყებდა მოქმედებას, ეს აღარ ვიცოდით.

ოსმალების გასვლის შემდეგ ჩვენ დღე-დღეზედ მოველოდით ხელმძღვანელებს, მაგრამ გავიდა რამოდენიმე თვეები, ასკრებიდან ნახევრათ გადარჩენილ სკოლას არავინ არ ეპატრონა, მხოლოდ, როდესაც მთლათ განადგურდა, მიმბანდა პატივცემული არსენ წითელიძე. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენი ხალხი სხვადასხვა აზრზედ იყოფ და არცენსაც გულ-გრილათ შეხვდენ. მას შემდეგ დაყრუებულია. ეხლა, როგორც გავიგე, ჩვენ სკოლაზე ფულები მაინც ყოფილა გადმოცემული და მთავრობასთან ისე ყოფილა წარდგენილი, ვითომც ეხლა სწავლა იყოს და როგორც დანამდვილებით გავიგე, იანვრამდის გამოუთხოვიათ ყოველ თვიურათ 11,500 მან. ეხლა ვეკითხებით ვისიც ჯერ არის, სად მიდის ეს ფულები? გთხოვთ აგვიხსნათ და გაგვაგებინოთ. ასეთი საქმეებზე დიდათ შემტკივა გული. მასთან ჩვენს მეზობლებშიც არის ხმები გავრცელებული, ვითომ ჩვენ არ გვინდოდეს სწავლა და სკოლა. ეს არ არის მართალი. შეიძლება ზოგიერთს არ სურდეს, მაგრამ ნაწილი მოიძებნება ჩვენშიაც, რომლებსაც დიდათ აინტერესებს სწავლა.

ალამბრელი ელიახი.

---

თელავი. სახალხო განათლების სამინისტროს წინადადებით სამაზრო ერობის სასკოლო საბჭოს ხელმძღვანელობით 1 იანვრიდან 1920 წლისა უმაღ. დაწყებით სასწავლებლის შენობაში იხსნება სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებელი 6 თვიანი უფასო კურსები, რომელზედაც მიიღებიან უმაღ. დაწყ. სასწავლებელში და გიმნაზიის 4 კლ. კურს დამთავრებულნი. მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადებები ერობის სასკოლო განყოფილებაში 1 იანვრამდე. თხოვნებთან უნდა წარმოდგენილ იქმნას საბუთები განათლების ცენზის შესახებ.

თელავის სამაზრო ერობის სასკოლო განყოფილება.

---

ატენის ხეობა (გორის მაზრა). 15 ნოემბერს, გათენებისას, გორის სამაზრო ადმინისტრაციამ ცნობა მიიღო, რომ სამოცამდე შეიარაღებული ცხენოსანი ბრბო თავს დაესხა ატენის თემის სამმართველოს; დაარბია, აყარა იარაღი ადგილობრივ მილიციას, გვარდიელებს და ტყვეთ წაიყვანეს თემის გამგეობის თავმჯდომარე ჩიქლაძე, ღალღების ამკრეფი მარტიაშვილი, მილიციონერები, გვარდიელები და სხვანიო... მიღებისთანავე ამა ცნობისა გაემგზავრა ატენისაკენ გორის სამაზრო ცხენოსანი მილიციის რაზმი და ნაწილი ქალაქ გორის მილიციისა მილიციის უფროსის გოგუას და თანაშემწე ანდღულაძის მეთაურობით.

იქ მისვლისას გამოირკვა, რომ ყაჩაღთა ბრბოს პირი ექნა ზღუდრის ხეობისაკენ, რაზმმა გადაწყვიტა დადევნებოდა მათ და სოფ. ბოშურაში მიუსწრო იმ დროს, როცა ბრბო დაბანაკებულიყო და დამშვიდებული ემზადებოდა სადილად. მიუხედავათ იმისა, რომ ბრბო გაცილებით მრავალ რიცხოვანი იყო მილიციის რაზმთან შედარებით, რაზმი მაინც შეებრძოლა ბრბოს და მილიციის უფროსი გოგუა შვიდი მილიციონერის ამარა შეიჭრა მათში, მოულოდნელმა თავ-დასხმამ თავ-ზარი დასცა ბრბოს და გაიმართა თითქმის ხელჩართული ბრძოლა, ამ დროს წამოიშველა მილიციის უფროსის თანაშემწე ანდღულაძე დანარჩენი მილიციონერებით და ტყვიის მფრქვეველით, წრე შემოავლეს და ორი საათის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ ბრბომ იბრუნა პირი კლდე ღრეებისაკენ. თანაც დაბნელდა. ბრძოლის შემდეგ გამოირკვა, რომ ყაჩაღთა ბრბომ ბრძოლის ველზე დასტოვა ხუთი მკვდარი, ამათ გარდა სოფლის გარეთ აღმოჩნდა შემდეგ მკვდარი კიდევ რვა კაცი, სულ კი ბრბომ დაკარგა 13 კაცი, არიან დაჭრილებიც.

ამასთანავე რაზმმა ყაჩაღთა ბრბოს დაატოვებინა ორმოცამდე ცხენი, 50 ც. ვინტოვკა, მრავალი პატრონა და სხვა...

ჩვენის მხრით ბრძოლაში საუკვდილოთ დაიჭრა ატენის თემის გამგეობის თავმჯდომარე საბა ჩიქლაძე (რომელიც უკვე გადაიცვალა) და მსუბუქათ დაიჭრა მილიციონერი მიქელაძე. ამ შემთხვევის გამო სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა დააჯილდოვოს ყველა ის მილიციონერები, რომლებმაც თავი ისახელეს.

ი. ქუტირელი. *)

## წერ. რედაქციის მიმართ

პასუხი ორ იქსს და ზ. კ. ნინიძეს.

14 ნოემბრის გაზეთ „ერთობაში“ № 260, ორი იქსი ასწერს ასკანაში მომხდარ ამბავს, ტუსაღის გაპარვის შესახებ. ის ლანძღავს სხვათა შორის მთელ რიგ უდანაშაულო პირებს. ასწერს რა ტუსაღის გაპარვას, რაც მართალია, დიდ დანაშაულობას ახვევს თავზე თემის გამგეობას: „გამგეობას ოქმი არ შეუდგენია, განზრახ გააპარეს საქმე, დამნაშავე გაამართლეს, გააქციეს და სხვა“... განა ერთი და ორი წელი გვიმსახურია ასკანის საზოგადოებაში? განა, ერთი და ორი შემთხვევა შეგვხვედრია ასეთი? ჰკითხეთ საზოგადოებას, განა ეჭვი შეპარვიათ ჩვენში? ან ეხლა ეპარება—იციან რაშია საქმე. ტუსაღი რომ გამოცხადდა გაპარული, განა არ შევატყობინებია მაზრის მილიციის უფროსისათვის? ოქმი არ შეგვიდგენია? თუ იმავ დღეს არ გავგზავნეთ, მიტომ, რომ ტუსაღი, კაცი გალახული, იმ ღამეს გარეთ გათენებული, მასთან ნამთვრალევი, გონზედ ვერ მოსული, ნათელ ჩვენებას ვერ იძლეოდა, მტკიცეთ ვინმესთვის ხელი არ დაუდვია, რომ დასაჯერი ყოფილიყო და ჩვენთვის გარკვეული გზა ეჩვენებია. ის ამბობდა: „თალაკაძიდან ორი უცნობი გამომყვა გზის საჩვენებლათ, მათგანი მიზამდა, აბა სხვა არ ვიცი, ვინ მიზამდაო.“ ერთ მათგანს, სევასტი ვასაძეს, რამოდენიმე ხნის შემდეგ ხელი დაადო, რომელიც ჩვენ მაშინვე დავიჭირეთ, ოქმიც შევუდგინეთ და უნდა გაგვეგზავნა, მაგრამ იმ წამში მილიციონერები ამავე საქმეზე გვყავდა გაგზავნილი და ვასაძე სასამართლოდან გაგვეპარა. მაშინვე მივიღეთ დასაჭერათ ყოველივე ზომები. რაც იცის მთელმა ასკანის მცხოვრებლებმა, მოსაზღვრე თემებმა, მაზრის მილიციის უფროსმა და სხვებმა; მაგრამ მაშინვე ვერ დავიჭირეთ, ოქმი კი დანიშნულებისამებრ გაიგზავნა—განა ჩვენ რომ ტუსაღისათვის ყურადღება არ მიგვექცია, ოქმი არ შეგვედგინა, საქმე გაგვეჩინებია, თავის საქმეს ვერ გაიკვლევდა, უმაღლეს მთავრობას არ იცნობდა, მეორე დღეს ოზურგეთში ვერ ჩავიდოდა? სადაც ჩვენც პასუხისგებაში მიგვცემდა და გამბარცველებსაც. რათ სჭიროდა ს. მათითეიშვილთან ჩივილი (თუმცა ის გვარდიის შტაბის წევრია) და სხვა სოფლის მოქალაქეებთან, როდესაც უფროსი სხვა იყო? რამდენიმე ხნის შემდეგ, აღნიშნული ვასაძე ჩვენივე საშუალებით იქნა წარდგენილი მაზრის მილიციის უფროსთან, რომელმაც გაგზავნა ციხეში, სადაც ეხლაც ზის, და არც არავის არ გაუნთავისუფლებია და სწარმოებს გამოძიება.

18 ნოემბრის „ერთობა“-ში უპასუხებს ორ იქსს კირილე ნინიძე თუ რა ბედი ეწვია მაზედ ტუსაღის მიერ გადაცემულ განცხადებას. პასუხიდან ნათლად სჩანს, რომ ორი იქსის შეხედულება მასაც გაუწონიებია. ბ. კირილე, თუ აგრე დარწმუნებული იყავით ჩვენს უკანონო მოქმედებაში, განა თქვენს აქ ყოფნის დროს არ შეგეძლოთ ეს საკითხი ადგილობრივათ გაგეშუქებინეთ ხალხშივე? თქვენ სწერთ: „ტუსაღის განცხადება გამგეობამ არარათ მიიჩნია ოქმი არ შეუდგინა,—შემდეგ შეადგინა და დამნაშავე გააქციაო“. უნდა გითხრათ, რომ ეს ასე არ იყო. მივიღეთ ჩვენ ტუსაღის განცხადება, ოქმიც შევუდგინეთ, რაც დაგვანახვა ძიებამ და ჩვენებებმა. არ დაგვიწერია მხოლოდ ის, თუ ვინმე რამეს ზურგს უკან ამბობდა. თქვენ მობრძანდით გამგეობაში და იკითხეთ: ოქმი რათ არ შეუდგინეთ ტუსაღისო?“ ჩვენ გიპასუხეთ—„შევადგინეთ და გავგზავნეთ უკვეო“, ნომერიც მოგვთხოვეთ და გიჩვენეთ. თქვენ ძალიან გაკვირვებთ გაქცევა, „კაცი როგორ გაიქცეოდა, თუ არ გაუშვეო“.—მაგრამ თფილისშიც ხომ მომხდარა მეტეხის ციხიდან გაქცევა, სადაც ციხე მაგარია და მილიციელებიც ბევრია. ჩვენ კი დავიჭირეთ ისევ და ციხეში ზის. მართალია, თქვენ გქონებიათ ტუსაღის მიერ გადმოცემული განცხადება, მაგრამ მაგ განცხადებაზე ჰკითხეთ ვიქტორ და თედორე ნინიძეებს. ქუთაისიდან პროკურორის ამხანაგი ჩამოვიდა, იძია გაპარვის საქმე, ჩვენი დანაშაულობაც მაგრამ რა გვქონდა დანაშაული, რომ დამნაშავე ვიქნებოდით.

ასკანის თემის გამგეობა.

*) ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება.

## ცნობები

ავსტრიაში ტყვეთ მოჰყვა ს. ჩოხატაურის მცხოვრები დავით გლახუნის ძე ჩხიკვიშვილი. ეს ერთი წელია, რაც მის შესახებ მშობლებმა არაფერი ვიცით. ვთხოვთ ყველას, ვინც კი მის შესახებ რამიმე იცის, გვაცნობონ. სოფ. ჩოხატაური, მაკარი ჩხიკვიშვილს.


## განცხადებანი

### ქვევრები

თითო 120 ჩაფიანი იყიდება საჩქაროთ. პირობების გაგება შეიძლება სასამართლოს (სუდებნაია) ქუჩაზე სახლი № 15, ბინა 6. თფილისში რევიშვილთან; საღამოს 4—6 საათამდე. (3356 1—1)

### იყიდება აფთიაქი

დიდძალი შტანგლაზებით და თავის მოწყობილობით, წამლების მხრივ საკმაოდ უზრუნველყოფილია, ეროზებს დაეთმობა ხელსაყრელ ფასებში. პირობების გაგება შეიძლება ქ. ახალ-სენაკში დათიკო ქობალავასთან. (3327—3—3)

თვალის ექიმი

### ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სათვალთმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან, სხივით და [illegible] სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა. [illegible] იღებს [illegible] მისამართი: [illegible] ქ. № 7, [illegible] (თ.—3028)

ექიმი ქალი რ. ვ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საზებით დარიგებას ხმარებისა წამლისა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი გ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

### გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ 7—92. 3230—თ.

ქალ. ხამტრედიაში

ექიმი ი. ი. [illegible] იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჯების ავადმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი ქ. [illegible]

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

### ოზურგეთში

ექიმი ს. ვ. [illegible]

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაცილით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, კ. სიმაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი დ. ა. ხარაძიძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ქალაქის [illegible] ახლოს.

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. აპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“. (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრიევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი [illegible]

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ბ. დ. [illegible]

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნოვ“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.